ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

გეოგრაფიის დეპარტამენტი

რეგიონული გეოგრაფიის და ლანდშაფტური დაგეგმარების კათედრა

ანი ბირთველიშვილი

გარემო ფაქტორების გავლენა მთის მოსახლეობის მიგრაციაზე

(ტანის ხეობის მაგალითზე)

ნაშრომი შესრულებულია გეოგრაფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი - ნოდარ ელიზბარაშვილი

თანახელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი - გიორგი მელაძე

თბილისი 2019

სარჩევი

Annotation 3

ანოტაცია 4

შესავალი 5

I. თეორიული დებულებები 8

1.1 მთიანი ტერიტორიების თავისებურებანი და ზოგადი მიმოხილვა 8

1.2 საქართველოს მთიანი ტერიტორიების გეოგრაფიული პრობლემატიკა 12

1.3 ტანის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა და პრობლემატიკა 23

1.4 მთის კანონის ზოგადი ანალიზი და მისი გავლენა ტანის ხეობაზე 35

II. ტანის ხეობის დემოგრაფიული ანალიზი 45

2.1 დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესების ზოგადი თავისებურებანი 45

2.2 საქართველოს მოსახლეობის დინამიკა და დემოგრაფიული პრობლემები 50

2.3 ტანის ხეობის დემოგრაფიული ვითარება 54

III. გარემო ფაქტორების გავლენა ტანის ხეობის მიგრაციაზე 57

3.1 ეკონომიკური ფაქტორი 57

3.2 სოციალური ფაქტორი 58

3.3 ეკოლოგიური ფაქტორი 61

IV. მიგრაციის მიზეზების სოციალური და გეოგრაფიული თავისებუებანი 65

4.1 სოციალური კითხვარი 65

4.2 ტანის ხეობის მოსახლეობის პრობლემატიკა და 69

სოციალური კითხვარის ანალიზი 69

4.3 ტანის ხეობის მიგრაციის მიზეზების გეოგრაფიული ანალიზი 74

გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა 80

Annotation

Mountainous regions cover about 54% of the whole territory of Georgia. Extreme conditions and geo-dynamic processes are typical features for most of those territories. These factors hamper geographic, social, and economic development of Georgian Alpine regions, which could be reason of why the process of depopulation is under way. The following environmental factors could contribute to why the population may abandon the villages: poor communications, lack of transport, absence of social and cultural life, underdevelopment of agriculture, unregulated infrastructure, inorganic soil, etc.

Tana vallery belongs to the category of populated areas, which, by demographic point of view, are at stake of total desertion of the mountainous villages as a result of the critical demographic situation. We'd like to know all the environmental factors supporting the process and determining migration of the population.

The Master's Thesis covers current issues of a significant relevance, which is as following: 1. Impact of environmental factors on migration processes; 2. Migration in Tana Valley; 3. Efficiency of the Law on the Mountains; 4. Demographic issues of the Georgian population; 5. Dynamic of the population of the Georgian mountain and its liaison with environmental factors; 6. Review of the issues of the population of Tana Valley; Poll and relevant analysis.

ანოტაცია

საქართველოს ტერიტორიის 54% მთიან ტერიტორიებს წარმოადგენს, რომელთა უმრავლსობაც ექსტრემალურ პირობებითა და გეოდინამიურ პროცესებით ხასიათდება, რაც ართულებს საქართველოს მაღალმთიანეთის გეოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. ეს ფაქტი კი განაპირობებს, საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებში დეპოპულაციის პროცესს. გარემო ფაქტორები, რომელთა გამოც შესაძლებელია დატოვოს სოფლები მოსახლეობამ, შეიძლება იყოს: კომუნიკაციის პრობლემა, ტრანსპორტის პრობლემა, სოციალურ-კულტურული ცხოვრების არ არსებობა, სოფლის მეურნეობის განუვითარებლობა, მოუწესრიგებლი ინფრასტრუქტურა, დაბალნაყოფიერი ნიადაგი და სხვა

ტანს ხეობა განეკუთვნება ისეთ დასახლებული პუნქტის კატეგორიას , სადაც დემოგრაფიული თვალსაზრისით, კრიტიკული მდგომარეობის შექმნის გამო შესაძლებელია მოხდეს აქ არსებული სოფლების მთლიანად დაცლა მოსახლეობისგან. საინტერესოა ყველა ის გარემო ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს ამ პროცესს და განსაზღვრავს მოსახლეობის მიგრაციულ პროცესებს.

სამაგისტრო ნაშრომი ეხება ისეთ აქტუალური საკითხების შესწავლას როგორიცა: 1.გარემო ფაქტორების გავლენა მოსახლეობის მიგრაციაზე; 2. ტანის ხეობის მიგრაციული პროცესები; 3.მთის კანონის ეფექტურობა ; 4.საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიულ პრობლემები; 5.საქართველოს მთის სოფლების მოსახლეობის დინამიკას და მის კავშირს გარემო ფაქტორებთან; 6. ტანის ხეობის მოსახლეობის პრობლმატიკის განხილვა, სოციალური გამოკითხვა და ანალიზი

შესავალი

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის მიგრაციაზე მოქმედ ბუნებრივი ფაქტორების შესწავლა და ადგილობრივი მოსახლეობის პრობლმატიკის განხილვა. საჭიროა ვეძებოთ ყველა ის გზა რომელიც შეინარჩუნებს და განავითარებს საქართველოს მთიანეთს, შეცვლის დემოგაფიულ ვითარებას და შეაჩერებს მიგრაციულ პროცესებს.

საინტერესოა იმ თემის, მიზნის, ამოცანებისა და პრაქტკული მნიშვნელობის განსაზღვრა,რაც უკავშირდება ჩემს მიერ შესწავლილ არსებულ თემას. აღსანიშნავია, რომ დღესდღეობისთ მიგრაციული პრცესები მეტად აქტუალურ და განხილვად თემას წარმოადგენს არაერთი ქვეყნისათვის და მათ შორის საქართველოსათვისაც. სწორედ ამ თემის ასეთმა აქტუალურობამ განაპირობა, ჩემს მიერ შერჩეულ ხეობის მაგალითზე, დემოგრაფიული მდგომარეობის ამოცანებისა და მნიშვნელობის განსაზღვრა. დიდია ამ თემის პრაქტიკული მნიშვნელობაც, რადგანაც ჯერ ტანის ხეობის მაგალითზე არ მომხდარა, მიგრაციული პროცესების გამომწვევ, გარემო ფაქტორების განსაზღვრა.

საინტერესოა ის ისტორიულ-გეოგრფიული განვითარება მოსახლეობის მიგრაციასთან მიმართებაში, რომელიც განიცადა დროთა განმავლობაში საქათველოს მაღალმთიანმა რეგიონებმა. საქართველოში ათობით წლების მანძილზე არსებული დემოგრაფიული პრობლემები, განსაკუთრებით თვალსაჩინო 1990-იანი წლების პირველ ნახევრიდან გახდა, და დღეს ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად განიხილება საქართველოს დემოგრაფიულ გამოწვევაში.

მთები მსოფლიოში ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნებით, ბუნებრივი სრულყოფილებით და უნიკალურობით გამოირჩევა, ამიტომ არა თუ უნდა მოხდეს ამ ტერიტორიების გაუდაურება, არამედ პირიქით უნდა იქნეს აღმოფხვრილი ყველა ის პრობლემა, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის მიგრაციას.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია აგრეთვე შეისწავლოს ტანის ხეობის მაგალითზე, ყველა ის შემოსავლის წყარო რომლის მიღებაც შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ ადამიანი

მაღალმთიან სოფელში ცხოვრობს, ეს ერთის მხრივ გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით სარგებელს, რაშიც განიხილება მიწის დამუშავება, მისი ნაყოფიერების განსაზღვრა, მიწის ფონდის სწორედ განაწილება და სხვა, მეორე მხრივ კი მთის კანონის თანახმად არსებული ყველა იმ პრივილეგიით სარგებლობა რომელიც გაწერილია სწორედ მთიან რეგიონებში მცხოვრებ ხალხისათვის(მთის კანონის თანახმად დაწესებულია სოციალური და საგადასახადო შეღავათები)

სამაგისტრო ნაშრომის მიზანთან დაკავშირებულია ისეთი ამოცანების განხილვა როგორებიცა:

1. ბუნებრივი ფაქტორების ძლიერი და სუსტი მხარები მოსახლეობის მიგრაციასთან დაკავშირებით და შესაძლებლობებისა და რისკების შეფასება. (საუბარი შესაძლებელია ისეთ თემებზე როგორიცა : 1. ბუნებრივი არეალის ფრაგმენტაციის შედეგად მრავალფეროვნების შემცირება 2. ღვარცოფების, მეწყერებისა და წყალდიდობის მაღალი სიხშირე 3. მიწის ფრაგმენტაციის მაღალი დონე 4. კლიმატის ცვლილება და გავლენა ლანდშაფტზე)

2.საქართველოს მთის სოფლების დინამიკის შესწავლა და მისი კავშირი გარემო ფაქტორებთან .

3.არსებული პრობლემების მიმართ, ტანის ხეობში მცხოვრები ხალხის დამოკიდებულება, სოციალური გამოკითხვა და ანალიზი.

თემაში გამოყენებული იქნება სამეცნიერო ნაშრომები, რომელიც უშუალოდ ეხება ამ თემას და საუბარია დემოგრაფიულ პრობლემებზე მაღალმთიან რეგიონებში. ამასთანავე განხილული იქნება ბუნებრივი ფაქტორების გავლენა, მთის სოფლების მოსახლეობის დინამიკაზე. ასევე შესწავლილ იქნება ტანის ხეობის საზოგადოების აზრი სოციოლოგიური შესწავლით და გათვალისწინებით. ეს პროცესი განხორციელდება სპეციალურად შედეგენლი კითხვარის მეშვეობით. ანკეტაში (კითხვარში) კი - სოციოლოგიური, ეკონომიკური და დემოგრაფიული მიმართულება გამოიყოფა.

სამაგისტრო ნაშრომში წარმოჩინდება სიახლეები, რომელთაგანაც მნიშვნელოვანია:

1. ტანის ხეობის პირველად შესწავლა და განხილვა დემოგრაფიულ რილში.

2. შესწავლილ იქნება საქართველოს მთის სოფლების მოსახლეობის დინამიკა.

3. „მთის კანონის“ ეფეტქურობა ტანის ხეობის მაგალითზე.

4. ტანის ხეობის ადგილობრივი მოსახლეობის, მიგრაციული პროცესებზე დამოკიდებულების კვლევა სოციოლოგიური გამოკითხვის და ანალიზის გზით.

I. თეორიული დებულებები

1.1 მთიანი ტერიტორიების თავისებურებანი და ზოგადი მიმოხილვა

მთიან ტერიტორიებს მსოფლიოს ხმელეთის თითქმის მეოთხედი უკავია, რომლის მიმდებარე გორაკ-ბორცვებსა და ვაკეებზე ცხოვრობს დედამწის მოსახლეობის 40%. ამრიგად, მსოფლიო მოსახლეობის ნახევარი და მოკიდებულია მთებიდან მიღებულ წყალსა და ენერგიაზე, კვების პროდუქტებსა და ტყის რესურსებზე. მთები წარმოდგენილია ყველა კონტინენტზე. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან: მდებარეობის, ფართობის, სიმაღლის, ოროგრაფიის, ბუნებრივი პირობების, სიმაღლებრივი სარტყლურობის, ბარიერული თვისებების, წარმოშობის, განვითარების, ბიომრვალფეროვნების, ჰავის, რესურსების, მოსახლეობის, გეოპოლიტიკური ვითარების, განვითარების დონის და სხვა არაერთი მაჩვენებლის მიხედვით. მთებში სპეციფიკური ფორმითაა გადაჯაჭვული ბუნებრივი და სოციალურ -ეკონომიკური პროცესები, რაც ყველაზე მკაფიოდ აისახება ადგილობრივი მოსახლეობის მდგრადი განვითარების თავისებურებებსა და პრობლემებზე.

მთა — მნიშვნელოვანი სიდიდის იზოლირებული ბუნებრივი ამაღლება ხმელეთის მეტნაკლებად მოვაკებულ ზედაპირზე. მისი ელემენტებია: მწვერვალი — უმაღლესი წერტილის მიმდებარე ზედაპირი, ძირი — ფუძე ზედაპირის მკაფიოდ გამოსახული გარდატეხის ხაზი, რომელიც უწყვეტად შემოფარგლავს მთას, კალთები — მწვერვალიდან მთის ძირამდე დაშვებული ფერდობი. განარჩევენ მაღალ (ალპურ), საშუალო სიმაღლისა და დაბალ მთებს რელიეფით, ფლორით და ფაუნით. ასეთი დაყოფა პირობითია, რადგან სიმაღლითა ერთიანი, საყოველთაოდ მიღებული გრადიცია არ არსებობს, იგი იცვლება გეოგრაფიული განედისა კლიმატური პირობების შესაბამისად. ასეთი დაყოფა მოსახერხებელია ერთნაირ გეოგრაფიულ პირობებში მდებარე მთების შესადარებლად და გამართლებულია იმით, რომ მათ ერთმანეთისაგან განსხვავებული მორფოლოგიური სახე აქვთ: მაღალ მთებს ახასიათებს ძველი და თანამედროვე გამყინვარებისა და ინტენსიური ფიზიკური გამოფიტვისაგან დაკბილული მწვერვალები, გაშიშვლებული ციცაბო კალთები, ხოლო საშუალო და დაბალ მთებს — მომრგვალებული მწვერვალები, გლუვი, დამრეცი კალთები, დაფარული გამოფიტვის ქერქით, ნიადაგითა და მცენარეულობით.

გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს მთების არაერთ ბუნებრივ მახასიათებელს. მათ შორის აღსნიშნავია მაკროკლიმატური მაჩვენებლები, ხოლო ოროგრაფიული ფაქტორი ასახავს მთიანი ტერიტორიების სეისმური აქტივობის და გეოლოგიური აგებულების თავისებურებებს. ეს მახასიათებლები, კლიმატის ხასიათთან ერთად, განაპირობებს რელიეფის დანაწევრებას და გეოდინამიურ პროცესთა ინტენსივობას, ისინი უშუალოდ განსაზღვრავენ მთებში ადამიანის სასიცოცხლო და სამეურნეო სივრცის პოტენციალს. ამავე დროს, საყურადღებოა მთიან რეგიონებში პლატოების, მაღალმთიანი, საშუალო და დაბალმთიანი რელიეფის ფორმების თანაფარდობა, რაც განაპირობებს მისი სამეურნეო გამოყენების ფორმებს.

მთებს მსოფლიოს 53 ქვეყნის ტერიტორიის ნახევარზე მეტი უკავია, ხოლო 45 ქვეყნის საერთო ფართობის 25 – 50%. მთებში წარმოდგენილია მოიცავენ ტურიზმის მსოფლიო ინდუსტრიის 20%, რაც განპირობებულია მაღალი ბიოლოგიური და ისტორიულ-კულტურული მრავალფეროვნებით, რელიგიური ობიექტების მრავალი ადგილსამყოფელით, მაღალი პოტენციალის მქონე რეკრეაციული რესურსებით. მთებს განსაკუთრებული ადგილი უკავია მტკნარი წყლის რესურსების ფორმირებაში. მთის მდინარეები აღდგენადი ბუნებრივი რესურსების უმნიშვნელოვანესი წყაროა თითქმის ყველა მსხვილი დასახლებული პუნქტის თუ მოსახლეობის თავმოყრის არეალებისთვის.

მთებისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა სიმაღლებრივი სარტყლურობის თავისებურებანი, რაც არაერთ ფაქტორს უკავშირდება. მათგან მთავარია სიმაღლის მატებასთან ერთად ტემპერატურის კლების ტენდენციები და ექსპოზიცია. ტემპერატურული გრადიენტი ყოველ 100 მეტრზე ასვლისას საშუალოდ 0.50-ს შეადგენს, თუმცა იგი განსხვავდება ადგილმდებარეობის და კლიმატური სარტყლის მიხედვით. სიმაღლებრივი სარტყლურობა ანუ სიმაღლებრივი ზონალობა არაერთ გეოგრაფიული მახასიათებელს უკავშირდება. მათ შორის მნიშვნელოვანია ადამიანის ეკოლოგია, ბიოლოგიური პროდუქტიულობა და პოტენციალი, მიწის და წყლის რესურსების განაწილება, სამეურნეო საქმიანობის ტიპები და მასშტაბები, რეკრეაციულად ეფექტური პეიზაჟები და სხვ.

აღსანიშნავია მთიანი სისტემების ბარიერული თვისებებიც, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს არა მარტო ბუნებრივი გარემოს ფორმირების ან ბუნებრივი მოვლენების

ხასიათს, არამედ გეოპოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თავისებურებებს. ისტორიულ წარსულში მთები ძირითად ბარიერად წარმოჩინდებოდა, რაც განსაზღვრავდა ჰავის, მდინარეთა აუზების და შესაბამისად – სახელმწიფოთა კონფიგურაციის ფორმირებას. ამჟამად მთიანი სისტემების ბარიერული თვისებები, გეოპოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, თითქმის ნიველირებულია, თუმცა მსოფლიოს არაერთ რეგიონში (ცენრტალური აზია, ანდები, ეთიოპიის მთიანეთი, ჰიმალაები, ტიბეტი და სხვ.) კვლავ რჩება არსებით ფაქტორად.

მთიანი ტერიტორიების გამოყენების ფორმები და მასთან დაკავშირებული პრობლემები პირდაპირ კავშირშია ქვეყნის განვითარების დონესთან. თუ განვითარებად ქვეყნებში მთიანი რეგიონები „გამოირჩევიან“ ეკონომიკური ჩამორჩენილობით, სოციალური დაძაბულობით და მიგრაციის მაღალი მაჩვენებლებით, საპირისპირო ვითარებაა განვითარებულ ქვეყნებში. აქ მთიანი რეგიონები უკვე ჩამოყალიბდნენ ტურისტულ ცენტრებად და ხასიათდებიან

ცხოვრების მაღალი დონით. თუმცა, მთებს გაცილებით დიდი მნიშვნელობა გააჩნია. ისინი სამართლიანად ითვლება წყლის და ჰიდროენერგეტიკული რესურსების ფორმირების არეალად, ბიოლოგიური და კულტურული მრავალფეროვნებით გამორჩეულ ტერიტორიად. მთები ცნობილია ეკოლოგიურად სუფთა გარემოთი, რის შენარჩუნებასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო გეოგრაფიული გარსის ნორმალური ფუნქციონირებისთვის, არამედ კაცობრიობის მომავლისთვისაც. {ნ. ელიზბარაშვილი, ჰ. მეესენი და სხვა.2018}

მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ მთებს დღესაც აფარებენ თავს სხვადასხვა ჯარის ტერორისტული ორგანიზაციები, პარტიზანული და სამოქალაქო დაპირისპირებაში მონაწილე დაჯგუფებები, კონტრაბანდით და არალეგალური ვაჭრობით დაკავებული პიროვნებები. ისინი, როგორც წესი, თავშესაფრად ირჩევენ მთიანი რეგიონების პერიფერიულ, სასაზღვრო ნაწილს, რათა საფრთხის შემთხვევაში ადვილად შეაფარონ თავი მეზობელ სახელმწიფოებს.)

მთები ცნობილია კულტურული მემკვიდრეობის უამრავი ობიექტით და წმინდა ადგილით. რელიგიური ადგილები და სალოცავები უზრუნველყოფენ არაერთი ერის სულიერ ენერგიას და ორიენტაციას. აქვეა მსოფლიოში ცნობილი ტერასული მეურნეობის არაერთი ადგილი,

სადაც სოფლის მეურნეობის განსაკუთრებული ფორმებია შექმნილი.

მთების განვითარებისადმი საზოგადოებრივი და სამეცნიერო ინტერესი მუდმივად იზრდება. მისი გლობალური, რეგიონული თუ ლოკალური თავისებურებების კვლევა მათი განვითარების ოპტიმალური მოდელების შექმნის წინაპირობად მიიჩნევა. ყურადღების ფოკუსშია მთების ბუნებრივი, სამეურნეო, ეთნოკულტურურლი თუ გეოპოლიტიკური განვითარების ტენდენციები, მოსახლეობის სოციალური ინტერესები, ეკოლოგიური პრობლემატიკა და სხვა მიმართულებები.

მიიჩნევა, რომ სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ სფეროში გატარებული ღონისძიებები და ინვესტიციები შორსაა სასურველი დონიდან. ამასთან ერთად, გლობალიზაციის პროცესები, კლიმატის ცვლილება და მთებში მოსახლეობის ზრდა მოითხოვს სიღმისეულ ცვლილებებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) მოუწოდებს და ასტიმულირებს სახელმწიფოებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ და ჩართონ მთიანი რეგიონები სტრატეგიული განვითარების გეგმებში. ეს განსაკუთრებით ეხებათ განვითარებად ქვეყნებს, რომელთვისაც რეკომენდირებულია გათვალისწინებულ იქნას განვითარებული ქვეყნების გამოცდილება:

1. ეკოლოგიურად ორიენტირებული ეკონომიკის განვითარება;
2. ბრძოლა გაუდაბნოებასა და გაუდაბურებასთან;
3. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაძლიერება;
4. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია;
5. მთისა და ბარის მოსახლეობის, სასოფლო და საქალაქო დასახლებული
6. პუნქტების ინტეგრირებული განვითარება;
7. ტრადიციული ცოდნის და ადგილობრივი კულტურის შენარჩუნება;
8. მთიანი რეგიონების სამთავრობო, კერძო ბიზნესის და ადგილობრივი 9.მოსახლეობის ინტერესების ერთობლივი მართვა;
9. მთიანი რეგიონების მართვის, შენარჩუნების და განვითარების მიზნების თანხვედრა;
10. საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

გაეროს მიერვე შემუშავებულია ქმედებების მიზნები მთიანი რეგიონების სტრატეგიული განვითარებისთვის. მათ შორისაა:

1. ინვესტიციების ზრდა მთიანი რეგიონების ეკოლოგიურად ორიენტირებულ ეკონომიკაში;
2. ხელისუფლების და ადგილობრივი მოსახლეობის ინტენსიური ჩართვა არსებული პრობლემებთან მიმართებაში
3. წყლის რესურსების ეფექტური გამოყენება და მართვა შიდა მოხმარებისა და კომერციული მიზნებით;
4. მთის მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა;
5. ენერგო დამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება;
6. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა და განვითარება;
7. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ნაციონალური და ლოკალური გეგმების შემუშავება, მოსახლეობის ინფორმირებულობა და მონიტორინგის სისტემის ორგანიზება;
8. სტიქიურ მოვლენებთან ბრძოლა, რისკების გამოვლენა და მართვა;
9. სამეცნიერო და პრაქტიკული (სამეურნეო) ცენტრების ორგანიზება.

1.2 საქართველოს მთიანი ტერიტორიების გეოგრაფიული პრობლემატიკა

საქართველო იმ მცირერიცხოვან ქვეყნების კატეგორიას განეკუთვნება, რომელთაც, დემოგრაფიული თვალსაზრისით კრიტიკული მდგომარეობის შექმნის გამო შესაძლებელია მაღალმთიანი სოფლების მთლიანად დაცლა მოსახლეობისგან. ამ მხრივ საგულისხმოა ისეთი ბუნებრივი ფაქტორები როგორიცაა: გეოგრაფიული მდებარეობა, სიმაღლებრივი სარტყელი, ბარიერული თვისებები, ადგილის სიმაღლე, სამხედრო და ეკონომიკური დანიშნულების გზები, წყალი, მუდმივი თოვლი, დაბალნაყოფიერი ნიადაგი და სხვა, განაპირობებსმოსახლეობის მიგრაციას საქართველოს მთიანეთიდან.

მთიანი ტერიტორიების მოსახლეობა, მსოფლიოს არაერთ რეგიონში და მათ შორის საქართველოშიც მიგრაციას განიცდის. მოსახლეობის გადაადგილება ძირითადად ორი

მიმართულებით ხორციელდება:

1. მთის სოფლებიდან ბარის სოფლებისკენ

2.მთის სოფლებიდან ქალაქებისკენ

მაღალია სხვა სახელმწიფოებში შრომითი მიგრაციის მაჩვენებლებიც. ამგვარ პროცესს რამდენიმე ფაქტორი უწყობს ხელს: სახელმწიფოს უყურადღებობა, დეცენტრალიზაციის პრობლემები, რთული ბუნებრივი პირობები, კლიმატის ცვლილება, ეკონომიკური და სოციალური სტიმულირების დაბალი დონე, ადგილობრივი მოსახლეობის პასიური მონაწილეობა მართვაში.

გეოპოლიტიკური ვითარების ანალიზი ცხადყოფს, რომ მთებთან დაკავშირებულია არაერთი კონფლიქტი, რაც აფერხებს მთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს. კონფლიქტები უკავშირდება სამხედრო ბლოკებს, ეკონომიკურ პოტენციალს,

მცირემიწიანობას, წყლის და მინერალურ რესურსებს, რელიგიებს, ისტორიულ პრეტენზიებს, გზებს, კომუნიკაციებს და სხვ.

საქართველოს მთიანი სისტემების სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა არსებითია. მთების ბუნებრივი და ეთნოკულტურული პოტენციალი იძლევა მოპოვებითი მრეწველობის, ტურიზმის, შრომითი რესურსების, დაცული ტერიტორიების, კულტურული იდენტობის, ტრადიციების, ტრანსასაზღვრო თანამშრომლობის, ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის და სხვა მიმართულებების განვითარების შესაძლებლობებს.)

უკანასკნელ ათწლეულებში, საქართველოს მთიან რეგიონებში, გაიზარდა ინტერესი ბუნებრივი და ეთნოკულტურული ფასეულობების დაცვისადმი. აღინიშნება არსებული დაცული ტერიტორიების გაფართოება და ახლის შექმნა, რასაც გარკვეულწილად მოსახლეობის მიგრაცია და „თავისუფალი“ არეალების არსებობა უწყობს ხელს. დაცული ტერიტორიებიდან განსაკუთრებული პოპულარობით ეროვნული პარკები და ბიოსფერული რეზერვატები სარგებლობს, სადაც შენარჩუნებულია საზოგადოების და ბუნების თანაცხოვრების გამორჩეული მაგალითები, ბუნებრივი და კულტურული მრავალფეროვნება.

გარკვეული მთიანის სისტემები ინარჩუნებენ გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას, რადგან

მათზე გადის უმნიშვნელოვანესი სამხედრო და ეკონომიკური დანიშნულების გზები და უღელტეხილები. ხშირად მთიანი ტერიტორიები წარმოადგენენ ბუნებრივ საზღვარს და წყალგამყოფებს, რომლებიც ემთხვევა სახელმწიფოთა ან ეთნიკურ საზღვრებს. ცნობილია არაერთი შემთხვევა, როცა სამხედრო მოქმედებები მიმართული იყო ამგვარი წყალგამყოფებისა და უღელტეხილების დაუფლებისადმი. ამგვარი ქმედებები არაერთხელ აღინიშნა ალპებში, სადაც პირველი მსოფლიო ომის დროს გადანაწილებულ იქნა მთიანი ტერიტორიები სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების გათვალისწინებით.

მთები უძველესი დროიდან ითვლებოდა ცივილიზაციის გავრცელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბარიერად. ამასთანავე მთებში ჩამოყალიბდა არაერთი თვითმყოფადი ხალხი, კულტურა, ტრადიცია. ერთსა და იმავე მთიან სისტემაში (მაგალითად, კავკასიონზე) მცხოვრები ხალხების იზოლაცია იმდენად დიდი იყო, რომ განსხვავებული ენების ფორმირებასაც კი განაპირობებდა. ამჟამად მთებში 700 მლნ-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. მათგან, 3000 მეტრზე მაღლა (ჰიმალაებსა და ანდებში) 20 მილიონი მცხოვრებია. დედამიწაზე, ზღ. დონიდან2000-3000 მეტრის ფარგლებში კი 120 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს.

საქართველოს მთიანი ტერიტორიების მოსახლეობა ხასიათდება მასიური სიღარიბით, იზრდება კატასტროფული ხასიათის ბუნებრივი მოვლენების და პროცესების რაოდენობა, იზრდება ნიადაგების დეგრადაციის მასშტაბები, აღინიშნება წყლის რესურსების შემცირება, ხოლო მიგრაცია და სასურსათო უსაფრთხოება კვლავ რჩება საქართველოს მთიანი რეგიონების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად.

იმისათვის რომ თავიდან იქნას აცილებული პრობლემური რეგიონების დაცლა მოსახლეობისაგან, საჭიროა სწორედ იქნას გააზრებული დაშეფასებული ლანდშაფტის მნიშვნელობა და არსი.

ლანდშაფტთა პოტენციალის ჯეროვანი განსაზღვრა სოფლის მეურნეობის განვითარების არსებითი წინაპირობაა. აქ იგულისხმება:

1. იმ რესურსულ საშუალებათა ერთობლიობა, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, ეკონომიკური აღმავლობისა და მომავალი თაობების განვითარებისთვის;

2. იმ თვისებათა ერთობლიობა და თავისებურებანი, რომლის მიხედვითაც შეუძლია ლანდშაფტს შეასრულოს ესა თუ ის სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია.

ლანდშაფტთა პოტენციალი შეიძლება ტრანსფორმირდეს საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისად, რომელთა შორის, თანამედროვე ეტაპზე, ძირითადია რესურსული ეკოლოგიური და რეკრეაციული მოთხოვნა. ლანდშაფტს შესაძლებელია ჰქონდეს როგორც ერთგვარი, ასევე მრავალ გვარი პოტენციალი, რომელიც მისი სტრუქტურულ-ფუნქციონალური და გამოყენებითი (დანიშნულებითი) თვისებებიდან გამომდინარეობს. პოტენციალის ცვალებადობას ლანდშაფტის სეზონური და ეთოლოგიური თავისებურებანიც განაპირობებს, რაც მისი სტრუქტურულ-ფუნქციონალური მდგომარეობების დინამიკას უკავშირდება. მაგალითად, მაღალი მთის სუბალპური და ალპური ლანდშაფტები ზამთარში რეკრეაციული, ხოლო ზაფხულში რესურსული პოტენციალის მაღალი ხარისხით გამოირჩევა.

აღსანიშნავია ის ფაქტი. რომ ლანდშაფტი ერთდროულად სხვადასხვაგვარ პოტენციალს ფლობს. მაგალითად, ქ. თბილისის მიდამოებში წარმოდგენილი საშუალო მთის ტყის ლანდშაფტები რესურსული, ეკოლოგიური და რეკრეაციული პოტენციალის მქონეა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ლანდშაფტთა პოტენციალის როგორც თვისებრივი (ხარისხობრივი), ასევე სივრცე-დროითი ცვალებადობის შესწავლა და კლასიფიკაცია.

საქართველოს მთიანი რეგიონები ფლობენ დიდ სასიოფლო-სამეურნეო პოტენციალს, ეს უკანასკნელი კი გულისხმობს ლანდშაფტის უნარს, აწარმოოს სხვადასხვა სახის მემცენარეობის პროდუქცია. ამგვარი უნარის გამოსავლენად საჭიროა: რელიეფის, აგროკლიმატური რესურსების, წყლის ბრუნვის და ბიოგეოციკლის, ნიადაგის ნაყოფიერებისა და სტრუქტურული თავისებურებების კომპლექსური ანალიზი. ხშირად ლანდშაფტის ბუნებრივ-რესურსულ, განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალს ლანდშაფტის პროდუქტიულობასთან აიგივებენ, რაშიც მის მიერ დროის გარკვეულ მ ნაკვეთში ნივთიერებისა და ენერგიის კვლავწარმოების უნარი იგულისხმება. უფრო მეტიც, ლანდშაფტთა პოტენციალის შენარჩუნება ან ამაღლება მისი პროდუქტიულო ბის

შენარჩუნებასა და ზრდასთანაა გა იგი ვებული. ამგვარი თვალსაზრისი გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუკი ლანდშაფტი და მისი პოტენციალი მხოლოდ საზოგადოების მუდმივად მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის იქნება განკუთვნილი. თუმცა, ლანდშაფტის სხვაგვარი თვისებებისა და პოტენციალის გაუთვალისწინებლობა სამეურნეო და სოციალური განვითარების, მოსახლეობის კეთილდღეობის შემაფერხებელ გარემოებად შეიძლება წარმოჩინდეს. {ნ. ელიზბარასვილი, დ. ნიკოლაიშვილი და სხვა. 2000}

ლანდშაფტის სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის შესახებ მკაფიოდ მეტყველებს მისი სამეურნეო გამოყენების ტრადიციები და ისტორიულ-გეოგრაფიული თავისებურებანი. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“ და ივანე ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიკურ ისტორიას“ეკუთვნის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიული გამოცდილება და ტრადიციები თვალსაჩინოა მთელ მსოფლიოში – ქართული ვაზის და ხორბალის არაერთი სახეობა, ხილი, ფუტკარი, ცხენი, ძაღლი, ცხვარი და შინაურ ცხოველთა არაერთი ჯიში მაღალი სამეურნეო პოტენციალით და ენდემიზმითაა ცნობილი. მიუხედავად ამისა, საქართველოში არაარსებით

მთიანი რეგიონის მდგრადი განვითარებად განიხილება მათი გავრცელების და აღდგენის შესაძლებლობები და სოფლის მეურნების რეგიონული (და ზონალური) სპეციალიზაცია.

მთის მოსახლეობის დეპოპულაციას როგორც ვნახეთ არაერთი ფაქტორი განაპირობებს, დღეს უკვე ნათელია თუ როგორ დიდ პრობლემის წინაშე დგანს კაცობრიობა და მათ შორის საქართველოც მთიანი ტერიტორიების გაუდაბურებასთან მიმართებაში. აუცილებლეია ყველა იმ გარემო ფაქტორის განსაზღვრა რაც ხელს შეუწყობს მთის მოსახლეობის მიგრაციას ამგვარი შედეგის მისაღწევად სასურველია განისაზღვროს სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი შემდეგი ამოცანები:

1. საგარეო პოლიტიკის და საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში – ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოების და ბლოკური მიუკერძოებლობის, რეგიონში თანაბარუფლებიანი და კეთილმეზობლური პარტნიორობის ხელშეწყობის,

საერთაშორისო ვალდებულებების დაცვის და ევროპულ სამართლებრივ სივრცეში ინტეგრაციის გზით;

2. ეკონომიკის სფეროში – სოციალურად და ეკოლოგიურად ორინტირებული საბაზრო ეკონომიკის განვითარების, ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივი წარმოების სტიმულირების, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, ტრადიციული სოფლის მეურნეობის და მასზე ორიენტირებული კვების და მსუბუქი მრეწველობის უპირატესი განვითარების, რეკრეაციული და განსაკუთრებით ტურისტული მეურნეობის ოპტიმალური დაგეგმარების გზით;

3. სოციალურ სფეროში – მოსახლეობის განათლების და მეცნიერების სტიმულირების, საცხოვრებელი გარემოს გაჯანსაღების, კულტურული და ისტორიული ფასეულობების შენარჩუნების, ჯანმრთელობის დაცვისა და სპორტის განვითარების, მოსახლეობის სოციალური აქტივობის და ჩართულობის ამაღლების გზით;

4. ეკოლოგიურ სფეროში - დაცული ტერიტორიების ფართობების ზრდის და შემეცნებითი (სამეცნიერო, საგანმანათლებლო) ტურიზმის ხელშეწყობის, დეგრადირებული ლანდშაფტების და ეკოსისტემების აღდგენის, ნარჩენების უტილიზაციის და გადამუშავების გზით

5. მეცნიერებისა და განათლების სფეროში – სამეცნიერო-პრაქტიკული მიმართულებების განვითარების, თანამედროვე მეცნიერებატევადი და უნარჩენო ტექნოლოგიების, ეკოლოგიური დარგების უპირატესი კვლევის, უმაღლესი და საშუალო სკოლის დაახლოების, მასწავლებელთა ფინანსური სტიმულირების და ახალგაზრდა კადრების სკოლაში მოზიდვის, მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების და ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლების გზით

იმის გამო რომ საქათველოს არაერთი მაღალმთიანი რეგიონი ხშირად განიცდის ბუნებრივ კატასტოფებს, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის მიგრაციას მთიდან ბარში, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა კატასტროფების რისკის შემცირების ეროვნულ სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს კატასტროფის რისკის შემცირების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას, კატასტროფებისადმი მზაობისა და მათზე რეაგირების შესაძლებლობების და ეფექტიანობის გაუმჯობესებას. კატასტროფების რისკი უკავშირდება ისეთ მოვლენებს, როგორიცაა წყალდიდობები და წყალმოვარდნები, მეწყრული, დენუდაციური და ღვარცოფული მოვლენები, მიწისძვრები, სეტყვა, საფრთხე, ზვავები, ძლიერი ქარები, ტყის ხანძრები, ეროზია, გვალვა, ტექნოგენური ავარიები და სხვ.

მნიშვნელოვანია აგრეთვე, სწორედ შეფასდეს ბუნებრივი რესურსების გამოყენების ტენდენციები მთიან რეგიონებში.ჰიდროენერგიით საქართველო ძლიერი ქვეყანა. შესაბამისად, ელექტროენერგიის წარმოება ეფუძნება არსებულ რესურსებს. ელექტროენერგიის ძირითადი მომხმარებელი მოსახლეობაა, თუმცა უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა მისი გამოყენების მატება მრეწველობაში და ტრანსპორტში, მიუხედავად საქართელოს მაღალი პოტენციალისა დღეს ჩვენი ქვეყნის არაერთი მაღალმთიანი რეგიონები განიცდის ელექტრო ენერგიის ნაკლებობას. საქართველოში მაღალია ჰიდროენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები, თუმცა კვლავ აქტუალური რჩება მასთან დაკავშირებული ეკოლოგიური (მათ შორის შავი ზღვის სანაპირო ზოლის შენარჩუნების) პრობლემები და ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი.

ამ საკითხთან მიმართებაში შეიძლება განვიხილოთ საქართველოს მთიანი რეგიონების ისეთი პრბლემები როგორებიცა: ტრანსპორტის განვითარება, ტყის რესურსების მოპოვება და მართვა, მოსახლეობის დინამიკის ტენდენციები, გეოპოლიტიკური ვითარება და სხვა.

1.ტრანსპორტის განვითარების ტენდენციები – სამხრეთ კავკასია ტრანსპორტის განვითარებას მის ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ მდებარეობას და ბუნებრივ პირობებს უნდა უმადლოდეს. იგი უკვე გახდა აბრეშუმის გზის არსებითი მონაკვეთი, ევროპის და ცენტრალური აზიის დამაკავშირებელი ხიდი, რუსეთის და წინა აზიის სატრანსპორტო არტერია. უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს კასპიის და შავი ზღვები, რომლებიც მდინარეებით და არხებით აკავშირებს ევროპის, ახლო აღმოსავლეთის და ცენტრალური

აზიის ქვეყნებს. მთიანი ტერიტორიების მაღალი ხვედრითი წილი განაპირობებს საავტომობილო მგზავრთბრუნვისა და ტვირთბრუნვის მაღალ მაჩვენებლებს, რაც ეკოლოგიური ვითარების გამწვავების წინაპირობაა. განსაკუთრებით მწვავედ დგას ატმოსფეროს დაბინძურების პრობლემა.

2. ტყის რესურსების მოპოვების მასშტაბები – ტყის რესურსებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მთიან სოფლებში მცხოვრებთათვის. იქ, სადაც მაღალია მოსახლეობის სიმჭიდროვე, შესაბამისად ასევე მაღალია ტყის რესურსების გამოყენების მასშტაბები. ანთროპოგენული ფაქტორი გახდა ჯავახეთის ვულკანური პლატოს და ერევნის ქვაბულის უდიდესინაწილის ამჟამინდელი უტყეობის მიზეზი. აქ მისი ადგილი ნახევრადუდაბნოებმა და მთისსტეპებმა დაიკავა.

მე-20 საუკუნის მანძილზე სამხრეთ კავკასიის ტყეებმა „დაისვენეს“, რადგან აქ ძირითადადრუსეთიდან შემოტანილი იაფი ხე-ტყე გამოიყენებოდა. ტყეების უსისტემო და მტაცებლურბგამოყენებას ადგილი ჰქონდა უკანასკნელ ათწლეულებში, რაც არაერთ რეგიონში გეოდინამიური პროცესების გააქტიურება მოჰყვა. სომხეთში, აზერბაიჯანსა და აღმოსავლეთ საქართველოში ტყეების ექსპლოატაცია განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან აქ ძალზე დაბალია მათი თვითაღდგენისთვის საჭირო პროდუქტიული ტენი (განსაკუთრებით ზაფხულის ანუ აქტიური ვეგეტაციის პერიოდში).

ტყის რესურსებით მდიდარია საქართველო, რაც მის გეოგრაფიულ მდებარეობას, სითბოსა და ტენის განაწილებას უკავშირდება. ისინი არეგულირებენ ჰაერის სინოტივეს, ნალექების განაწილებას, მიწისქვეშა წყლების რაოდენობას, სითბოცვლას, ქარის სიჩქარეს, ჟანგბადის, მტვრის და ნახშირორჟანგის რაოდენობას, არაერთ სხვა გეოეკოლოგიურ პროცესესს. ტყეები ცოცხალი სამყაროს საუკეთესო თავშესაფარია, რაც განსაკუთრებულს ხდის მათ ეკოლოგიურ მნიშვნელობას. ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონე და მეზობელი ქვეყნებში არსებული მაღალი მოთხოვნა პირდაპირ კავშირშია ტყეების გამოყენების ფორმებთან და მეთოდებთან, რაც სამხრეთ კავკასიაში კვლავ რჩება ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად მდგრადი ეკოლოგიური განვითარებისთვის.

3. მოსახლეობა დინამიკის ტენდენციები – სამხრეთ კავკასიაში 17 მილიონამდე მცხოვრებია.

შედარებით სწრაფად იზრდება აზერბაიჯანის მოსახლეობის რაოდენობა, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოსა და სომხეთზე. აქ განსაკუთრებულად საშიში მასშტაბები მიიღო მიგრაციამ და შეიარაღებულმა კონფლიქტებმა, რაც არაერთი რეგიონის გაუდაბურების საფრთხე შექმნა. სხვადასხვა მონაცემებით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები დატოვა 4 მილიონამდე მცხოვრებმა, რამაც არსებითად შეცვალა დემოგრაფიული ფონი და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა. თვალშისაცემია მოსახლეობის დიდ ქალაქებში მასიური თავმოყრის ტენდენცია (თბილისი, ერევანი), რაც ამწვავებს სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას და პერიფერიების ნორმალური განვითარების შესაძლებლობას. საქართველოსა და სომხეთის დედაქალაქებში, ოფიციალური მონაცემებით, მოსახლეობის საერთო რაოდენობის 1/3 ცხოვრობს, რაც 5-6 -ჯერ აღემატება მეორე ქალაქის (ბათუმი, გიუმრი) ანალოგიურ მაჩვენებელს. ურბანიზაციის მასშტაბები ამძიმებს ეკოლოგიურ ფონს და ართულებს სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას. მსხვილი დასახლებული პუნქტების ფარგლებში და მათ სიახლოვეს მაღალ მაჩვენებლებს აღწევს ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგების და წყლების დაბინძურება, სასოფლო-სამეურნეო სავარგულეების და ბიომრავალფეროვნების დეგრადაცია.

4. გეოპოლიტიკური ვითარება და სამხედრო კონფლიტები – სამხრეთ კავკასიაში მდგრადი განვითარების არსებითი ხელისშემშლელი ფაქტორია ღია და შეფარული პოლიტიკური კონფლიტები, რაც უკანასკნელ ათწლეულებში არაერთი და პერმანენტული სამხედრო დაპირისპირების მიზეზი გახდა. რეგიონის სამივე ქვეყანა ფაქტიურ საომარ მდგომარეობაშია, რაც აისახება ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ვითარებაზე. კონფლიტების ძირითადი ნაწილი ტერიტორიულ პრეტენზიებს უკავშირდება, რაც თითქმის მოუგვარებელ პრობლემად რჩება რეგიონის მდგრადი განვითარებისათვის.

ბოლო წლებში მიღებული იქნა კანონი, რომელიც არეგულირებს მთებთან დაკავშირებულ პრობლემებს, მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ სტიმულირებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას და ა.შ. მიჩნეულია, რომ სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე მთიან ტერიტორიებზე მოსახლეობის შენარჩუნება ვერ მოხერხდება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთიანი ტერიტორიების სამეცნიერო შესწავლას, მისი ბუნების შენარჩუნებასთან დაკავშირებული პრობლემატიკის წარმოჩენას, მოსახლეობის

ყოფა-ცხოვრების და ტრადიციების კვლევას, რეკრეაციული და რესურსული პოტენციალის განსაზღვრას, მდგრად ტერიტორიულ დაგეგმარებას და სივრცით მოწყობას.

მთების სამეცნიერო კვლევის აქტუალობა კლიმატის გლობალური ცვლილებასაც უკავშირდება. ჰაერის ტემპერატურის თითქმის საყოველთაო მატება, ნალექების რაოდენობის ზრდა უკვე აისახა არაერთი მთიანი სისტემის ლანდშაფტურ, გლაციალურ, ბიოგეოგრაფიულ და ჰიდროლოგიურ მახასიათებლებზე. ტროპიკული, სუბტროპიკული და ზომიერი სარტყლის მთებში უკვე მკაფიოდ აღინიშნება მყინვარით დაფარული ტერიტორიების ფართობის, თოვლის ხანგრძლიობის და სიმძლავრის მაჩვენებლების შემცირება, ტყის ზედა საზღვრის ცვლილება (აღმასვლა), ზაფხულის ტემპერატურების და ნალექების რაოდენობის ზრდა. ამგვარი პროცესები მთების მიმდებარე გორაკ-ბორცვიანი ზონის არიდიზაციის ფონზე მიმდინარეობს, რაც არაერთი სახის ბუნებრივი რესურსის გამოყენების და მოპოვების პოლიტიკის გადახედვას მოითხოვს. მთებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა მეურნეობის რომელიმე ერთი დარგის პრეროგატივად არ ითვლება. იგი მხოლოდ კომპლექსური, მულტიდარგობრივი მიდგომების გზით შეიძლება გადაიჭრას. ასევე მიჩნეულია, რომ ნებისმიერი ქმედება მიზნად უნდა ისახავდეს ერთდროულად ბუნებრივი და კულტურული ფასეულობების შენარჩუნებას, ეკონომიკურ და სოციალურ სტიმულირებას და არა შეღავათებს. ევროპის მთიან რეგიონებში,

მხოლოდ რეკრეაციული ფასეულობების წარმოჩენა და ტურიზმის განვითარება, არ მიიჩნევა მოსახლეობის სტიმულირების და დეპოპულაციის შეჩერების რეალურ გზად. ამგვარადაა შესაძლებელი შენარჩუნებულ იქნას მთის მოსახლეობა, რომელსაც ღირსეული ცხოვრების საშუალება და სტიმული მიეცემა. როგორც წესი, მთიან რეგიონებში ფართოდაა გავრცელებული დოტაციური მიდგომა ანუ სხვადასხვა სახის შეღავათების დაწესება. ამგვარი ხედვა აკნინებს ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივებს, რესურსების რაციონალური და ეფექტური გამოყენების შესაძლებლობებს, მდგრადი განვითარების პრინციპების რეალიზებას. ევროპის მთიანი რეგიონები, ოპტიმალური დაგეგმარების ხარჯზე, უკვე ათწლეულების ითვლება მოსახლეობის და ბიზნესის დაინტერესების არეალად. ეს განსაკუთრებით ეხება ეკოლოგიურ სოფლის მეურნეობას, ენერგიის ალტერნატიული წყაროების განვითარებას, ადგილობრივ რეწვას, სამკურნალო მცენარეების კულტივაციას, რეკრეაციას და სხვ.

მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარება როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე სახელმწიფო და კერძო ბიზნესის ინტერესების შეჯერებულ გააზრებას და დაკმაყოფილებას საჭიროებს. სახელმწიფო პოლიტიკის გატარება მოითხოვს როგორც სტრატეგიული ანუ

გლობალური, ისე რეგიონული და ლოკალური პრობლემატიკის და განვითარების ტენდენციების წარმოჩენას. ამ შემთხვევაში არსებითი როლი ენიჭება გლობალური და რეგიონული.{თ.ალექსიძე, ნ.რუხაძე . 2010}

ცნობილია არაერთი საერთაშორისო შეთანხმება, კონვენცია თუ ტრანსასაზღვრო თანამშრომლობის მაგალითი, რომლების ხელს უწყობს სასიცოცხლო გარემოს გაუმჯობესებას და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მხარდაჭერას. მიხედავად ამგვარი ქმედებებისა, მთები კვლავ ითვლება „რთულად წვდომად“ არეალად და ეკოლოგიურად არამდგრად გარემოდ, რის გამოც ხშირად რჩება ხელისუფრების და ბიზნესის ყურადღების მიღმა. ეს განსაკუთრებით ეხება განვითარებად ქვეყნებს, სადაც მთიანი ტერიტორიების მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კვლავ ცხოვრობს უკიდურესი გაჭირვების და რთული ეკოლოგიური ვითარების ფონზე. განვილილმა წლებმა მდგრადი განვითარებისთვის რამდენიმე უარყოფითი ტენდენცია წარმოაჩინა

1. მთიან რეგიონებში კლიმატის სწრაფი ცვლილების ფონზე გამწვავდა სტიქიური პროცესების ინტენსივობა და გაიზარდა მათი რაოდენობა, შემცირდა მყინვარებით დაფარული ფართობი, პრობლემები შეიქმნა ადგილობრივი და ბარში მცხოვრები მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საქმეში;

2. ურბანიზაციის სწრაფი ტემპები და მიგრაციული პროცესების ინტენსივობა;

მსოფლიო მოსახლეობის და ეკონომიკის სწრაფმა ზრდამ გაზარდა მოთხოვნა სხვადასხვა სახის წიაღისეულზე, რამაც ხელი შეუწყო მთიან რეგიონებში ეკოლოგიური დეგრადაციის მასშტაბების ზრდას.

იმისათვის რომ აღორძინდეს საქართველოს მთიანი ტერიტორიები საჭიროა, შემუშავდეს არაერთი პროექტი თუ კანონმდებლობა, რომელიც დამყარებული იქნება საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სპეციპიკაზე, თავისებურებასა და მოსახლეობის საქმიანობაზე.

1.3 ტანის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა და პრობლემატიკა

ტანის ხეობა მდებარეობს შიდა ქართლში, გორის ადმინისტრაციულ რაიონში., თრიალეთის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი კალთების დაბოლოებაზე, მთისწინების გორაკ-ბორცვიან ზოლში ჩრდილო განედის 42031l და აღმოსავლეთ გრძედის 42054l კოორდინატებზე, მდინარე ტანის მარცხენა და მარჯვენა მხარეს და ქმნის ორ ურთიერთ საპირისპირო (ჩრდილო-აღმოსავლეთის, სამხრეთის და სამხრეთ-დასავლეთის) დახრილობის ფერდობებსა და გავაკებებს, რომელიც მიმართულია მდინარე ტანის აუზისაკენ. უფრო მოკლედ რომ ითქვას, ხეობა მოიცავს მდ. ტანის აუზს (ძირითადად ახლანდელი გორის მუნიციპალიტეტის სამხრეთ ნაწილს, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთებს).

შეიძლება ითქვას რომ ტანის ხეობა საკმაოდ არაერთგვაროვანია, აქედან გამომდინარე, იგი საკმაოდ განსხვავებული რელიეფის მქონე ტერიტორიაა, რომლის უმეტესი ნაწილი მთიან და მაღალმთიან კატეგორიას განეკუთვნება.

ხეობის სახელწოდებაც მდინარე ტანის არსებობით არის განპირობებლი. იგი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლში, თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, გორის რაიონში, და წარმოადგენს მტკვრის მარჯვენა შენაკადს. სიგრძეა 39 კმ, აუზის ფართობი 382 კვ.კმ. სათავე აქვს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ზ.დ. 2000 მ სიმაღლეზე. მტკვარს ერთვის ქ. გორის მახლობლად. საზრდოობს მიწისქვეშა, წვიმისა და თოვლის წყლებით. წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულზე, წყალმოვარდნა - ზაფხულში. თუმცა ადრე მდინარისათვის არ იყო დამახასიათებელი წყლის დონის ძლიერი მომატება. საქმე იმაშია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში აქ გაუჩეხიათ ტყეები. ამიტომ ძლიერი წვიმების დროს ხრიოკი ადგილებიდან ჩამორეცხილი წყლები ხეობაში იყრის თავს და იწვევს წყალდიდობას. მდინარის წყალს იყენებენ სარწყავად. მდინარის ზემო ხეობა შემოსილია წიფლნარი და მუხნარ-რცხილნარი ტყეებით, ხოლო ქვემო ხეობა - უროიანი, ვაციწვერიანი და ჯაგეკლიანი სტეპებით. სახელწოდება “ტანა”, “ატენი” დაკავშირებული უნდა იყოს სიტყვა “კლდესთან”. ტინი ეს პიტალო კლდეა. როგორც სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს “ტინი

არის კლდე დიდი, მაგარი და დაუმშხალველი". ამავე სახელწოდების მდინარე და ტბა მდებარეობს აფრიკაში, კენიასა და ეთიოპიაში.{სერგი მაკალათია .1957წ}

ხეობის სოფლები, ტანა და მისი შენაკადები იწყება ჯამჯამასა და საცხენისის ქედებიდან. მდინარე ტანა მიექანება მდ. მტკვრისაკენ და სოფელ ხიდისთავში უერთდება მას. სწორედ ატენის ტერიტორიაზე მთავრდება შიდა ქართლის ვაკე და იწყება ზეგანი, სადაც ერთმანეთს ცვლის ქარაფები, ალპული ბორცვები და გორაკები.

როგორც ვიცით თითონ ტერმინი ხეობა ნიშნავს - მდინარის ეროზიული მოქმედების შედეგად გამომუშავებული რელიეფის უარყოფითი ფორმას, რომლის ძირიც ნაწილობრივ მდინარის კალაპოტს უჭირავს, ფერდობებზე ხშირად ტერასებია. განივკვეთი უმთავრესად V-ებრი პროფილისა აქვს, მყინვარის მოქმედების შედეგად გადამუშავებულ ხეობას კი — U-ებრი. მთებისთვის დამახასიათებელია ვიწრო და ღრმა ხეობები, ვაკისათვის — გაშლილი.

ტანის ხეობაში კი ძირითადად ვხვდებით მთებისთვის ვიწრო და ღრმა ხეობებს, თუმცა აღსანიშნავა ის ფაქტიც, რომ სოფ. ატენი მიმდებარედ და ამასთანავე იმ ადგილებში, სადაც ტანა უერთდება მდინარე მტკვარს, ვხვდებით ვაკისათვის დამახასიათებელ გაშლილ ხეობის ფორმებს. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ტანის ხეობაში წარმოდგენილია დანაწევრებული და ციცაბო ფერდობების რელიეფი.

ხეობის ძირითადი ნაწილი ზღვის დონიდან 900მ-ზე მაღლა მდებარეობს. უდაბლესი ადგილი არის სოფელ ხიდისთავთან, მდინარე ტანის მდინარე მტკვართან შეერთების ადგილას. უმაღლესი კი - ჯამჯამის მთის მიმდებარედ. (მთა ჯამჯამა შიდა ქართლის მხარეში, ქარელის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. იგი განფენილია თრიალეთის ქედზე. სიმაღლე 2320 მ. აგებულია შუაეოცენური ვულკანოგენური ქანებით. ჯამჯამის კალთების ზემო ნაწილი შემოსილია ალპური და სუბალპური მდელოს ბალახეულით, ქვემო — წიფლის ტყით).

ხეობა მნიშნელოვანი სტრატეგიული მდებარეობით გამოირჩევა, სწორედ ამიტომ, არაერთ ისტორიულ წყაროში არის ტანის ხეობა მოხსენიებული, როგორც მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური და სტრატეგიული ადგილი, სადაც თავს იყრიდა არაერთი კულტურული მემკვიდრეობის ეკლესია, ციხე, სიმაგრე და სხვა. გარდა ამისა მდინარე ტანას მიუყვებოდა

მნიშვნელოვანი გზა, რომელიც ამოკლებდა მანძილს და აძლევდა ადამიანს საშუალებას უმოკლესი გზით გადასულიყო ქვემო ქართლის სოფლებში. გარდა ამისა ტანას ხეობით შიდა ქართლიდან გზები გადის: მანგლის-თრიალეთისკენ, მესხეთ-ჯავახეთში, აქედან ტაო-კლარჯეთით ძველად გზა გადიოდა ბიზანტიის პროვინციებში, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე. ოდითგანვე ქონია ტანის ხეობას სამხედრო გზისდატვირთვაც, თუმცა დღეს ამ გზას დაკარგული აქვს პირველადი ფუნქცია.

ტანის ხეობა კლიმატის ზონის მიხედვით მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულ კლიმატურ ოლქს, რომელიც ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი კლიმატით ცხელი ზაფხულითა და ცივი ზამთრით ხასიათდება. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 10,70-ს, ყველაზე თბილი თვის _ აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 22,00-ს, ყველაზე ცივი თვის იანვარისა კი მინუს 1,50-ს აღწევს. ჰაერის საშუალო დღე-ღამური ტემპერატურის 100-ზე ზევით მდგრადი გადასვლა აპრილის შუა რიცხვებიდან, ხოლო ქვევით დაცემა ოქტომბრის ბოლოს ხდება

ქ. გორიდან სამხრეთით, მდ. ტანას ხეობაში, სიმაღლის მატებით ნალერქების წლიური ჯამი თანდათან კლებულობს და ატენში ზღვის დონიდან 620 მ სიმაღლეზე 560 მმ-ს უდრის. ნალექების საშუალო თვიური რაოდენობა უდიდესია (73 მმ) მაისში, უმცირესი (32 მმ) კი აგვისტოში. წლის თბილ პერიოდში ნალექებს 344 მმ-ზე მეტი არ მოდის. სეტყვიან დღეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ 2-ს უდრის. სეტყვა შედარებით ხშირად (0,8 დღე) მაისში მოდის.

გორის რაიონში, მდ. მტკვრის ხეობაში გაბატონებულ ჩრდილო-დასავლეთისა (44%) და მისი პერპენდიკულარული სამხრეთ-აღმოსავლეთის (41%) ქარები მდ. ტანას ხეობაში ნაკლები სიძლიერით ხასიათდება. თრიალეთის ქედის განშტოებები საცხენისისა და წერეთის ქედები მდ. ტანას ხეობას აღნიშნული მიმართულებებიდან ჰაერის მასების უშუალო შემოჭრისაგან იცავენ. ქარები უმთავრესად ხეობის გასწვრივ ქრიან, რომლის სიღრმეში მათი სიძლიერე თანდათან მცირდება.

ატენის ხეობის სამეურნეო-კულტურული განვითარებისა და მნიშვნელობის დამადასტურებელია ადრინდელი ფეოდალური ციხესიმაგრეების მშენებლობა (ვერეს ციხე,

ატენის ციხე და სხვა) და ატენის სიონის აგება. X საუკუნეში ატენის ხეობის ცენტრი - ატენის ციხე "აფხაზთა მეფის" ერთ-ერთი რეზიდენცია და საყრდენი პუნქტი იყო ქართლის შემოერთებისათვის ბრძოლაში. ამავე საუკუნის ბოლოს ატენის ხეობა ბაღვაშთა მფლობელობაში გადავიდა. XI საუკუნეში ეს ხეობა კვლავ სამეფო დომენს წარმოადგენდა. ბაგრატ IV-ის დროს აქ გაშენდა ქ. ატენი, რომელსაც ატენის ხეობასთან ერთად მეფის მიერ დანიშნული ატენის მოურავი განაგებდა. XII საუკუნეში ატენის ხეობაში იყო საქართველოს მეფეთა ერთ-ერთი საჭურჭლე. გვიანდელი საუკენეებში ატენის ხეობა სხვადასხვა სათავადოებმა დაინაწილეს.

ატენის ხეობა მდიდარია ტყით და საძოვრებით. აქაური ღვინო "ატენური" განთქმულია ქართლში. ვახუშტის აღწერით: "არს ესე ხეობა ვენახოვანი, ხილიანი... ღვინო აქაური უმჯობესი ყოვლისა ქართლისა და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა".

ტანის ხეობის მთიანი ტერიტორიები და მთისწინები საკმაოდ საინტერესო და პერსპექტიულ რაიონს წარმოადგენს ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით. როგორც საკურორტო მეურნეობის ტერიტორიას, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, აქ არსებული ჯანმრთელი, სუფთა ჰაერი, სუფთა და ნატურალური წყაროები და რაც მთავარია საკმარისი რაოდენობის გოგირდის წყლები. რომლის მიზნობრივი და კომპლექსური გამოყენების შემდეგ, შესაძლებელია შეიქმნას სხვადასხვა პროფილის ბალნეო-კლიმატური ცენტრები. მნიშვნელოვანია რეგიონის დასახლებული ადგლების თავისებური არქიტექტურაც, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და ბუნების ძეგლები. {სერგი მაკალათია. 1957წ}

სამწუხაროდ დღეს არ არსებობს არცერთი ტურისტული საინფომაციო ცენტრი, სადაც ტურისტებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ მთელი ხეობის ტურისტული მარშუტი შესახებ ინფორმაცია.

საავტომობილო გზას ტანის ხეობაში საკმაოდ მცირე ფართობი უკავია, განსაკუთრებით დაზიანდა ბოლო პერიოდში, როდესაც დაიწყო გაზიფკაციის პროცესი. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების დიდი ნაწილი გრუნტოვანია. ზამთარში ხშირია დიდთოვლობა, ამიტომ მოსახლეობის გადაადგილდება და ტვირთის გადატანა საკმაოდ პრობლებური

საკითხია. მოსახლეობა ძირითადად გადაადგილდება მუნიციპალური და კერძო სატრანსპორტო საშუალებებით. ბოლო სოფელი საკმაოდ დაშორებულია ქალაქ გორიდან, რომელიც შიდა ქართლის წამყვან ქალაქს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია სასმელი წყლის მნიშვნელოვანი დანაკარგებიც, რომელიც გამოძვეულია გაუმართავი წყალსადენი ქსელით. სოფლების უმრავლესობა არა არის უზრუნველყოფილი საკანალიზაციო სისტემით. ხეობის დიდი ნაწილი არის ელექტროფიცირებული. ბუნებრივი აირის მიწოდება ხდება მხოლოდ ატენის თემში შემავალი სოფლებისათვის, ბოშურის სოფლები კი დღემდე განიცდიან გაზის არ არსებობის პრობლემას. პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე, ნარჩენების ორგანიზებული გატანა. არ არის მოგვარებული ნაგავსაყრელების განთავსების პრობლემაც, რაც იწვევს მდინაე ტანის დაბინძურებას. რაც შეეხება, კავშირგაბმულობას, მიუხედავად არსებული რელიეფის ფორმებისა, ეს პრობლემა თითქმის ყველა ნაწილშია მოგვარებული.

ჩვენთვის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს აქ არსებული მოსახლეობის რაოდენობა. ხეობა უძველესი დროიდანვე ყოფილა დასახლებული, რასაც მოწმობს ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები. ხშირად არის მოხსენიებული "ტანის ხევის" სახელით ეს ადმინისტრაციული ერთეული ცნობილია IV - VII საუკუნეებში. ამ დროისათვის "ტანის ხევი" მოიცავდა არა მხოლოდ საკუთრივ ატენის ხეობას, არამედ თეძმის ხეობასაც. ატენის ხეობაზე გადიოდა მაგისტრალური გზა, რომელიც ჯავახეთსა და ზემო ქართლს აკავშირებდა შიდა ქართლთან. ამ გზის არსერბობამ განაპირობა ადრინდელ ფეოდალურ ხანაში ატენის ხეობის მჭიდრო დასახლება.

ტანას ხეობა მჭიდროდაა დასახლებული სათავიდან სოფელ ხიდისთავამდე. ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით: "ტანა გამოდის ჯამჯამს და საცხენისის მთას, დრის ხევამდე დის აღმოსავლით, მერმე დის ჩრდილოთ, ერთვის მტკვარს სამხრიდან. მტკვრის სამხრეთ-დასავლეთიდან ერთვის ატენის წყალს წედისის ხევი.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ტანის ხეობა გამოირჩევა საკუთარი ისტირიით, რომელიც სათავეს საუკუნეების წინ იღებს. უშუალოდ ეს ადგილი წარმოადგენდა მნიშვნელოვან დამაკავშირებელ გზას ჯავახეთსა და ქვემო ქართლთან. დროთა განმავლობაში მან დაკარგა

დამაკავშირებელი გზის ფუნქცია, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ დღესდღეობით აქტუალურად განიხილება ამ გზის აღდგენა, რომელიც შეამცირებს და გაამარტივებს გზას შიდა ქართლიდან ჯავახეთსა და ქვემო ქართლთან. გარდა ამისა ეს გზა ხელს შეუწყობს ტანის ხეობაში არაერთი პრობლემის მოგვარებას, აამუშავებს ტურიზმის სფეროს და ხელს შეუწყობს აქ არსებული ბიზნეს სფეროს განვითარებას.

ისტორიულად ტანის ხეობა ერთ-ერთ ძლიერ რეგიონად განიხილებოდა. არაერთ ისტორიულ წყაროსა და ცნობებში არის მოხსენიებული ტანის ხეობა, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ადგილი, ცნობილი თავისი ეკლესიებით, სალოცავებითა და ციხეებით. ცალკე აღსანიშნია ისეთი ციხეები როგორებიცაა: ატენის ციხე, ვერეს ციხე და სხვა. ამ ციხეებმა თავდაცვის საქმეში დიდი როლი შეასრულა, განსაკუთრებით XVI-XVIII საუკუნეებში, როდესაც თურქეთი და ირანი საქართველოს ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს მეტოქეობდნენ. ატენის ხეობა ვერ უძლებდა მოძალებულ ლეკთა თარეშს. მოსახლეობა იხიზნებოდა უშიშარ ადგილებში. ამას მოჰყვა სოფლების გაპარტახება. XIX საუკუნის დამდეგს ატენის ხეობაში მოსახლეობა უკვე აღარ ყოფილა. ეს უკაცრიელი ადგილი საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გენერალ ერმოლოვს გადაუცია გენერალ-მაიორ გიორგი ერისთავისთვის. მან დაიწყო ქსნის ხეობიდან გლეხების გადმოსახლება ატენის ხეობაში - აქაურობა თანდათანობით მოშენდა. ატენის ხეობის მოსახლეობის უმრავლესობა გადმოსულია ქსნისა და არაგვის ხეობიდან.

სოფლები მთის კალთებზეა შეფენილი. ხეობაში დაახლოებით 25 სოფელია, უმეტესობას შემოუნახავს ძველი სახელი. ბევრია ნასოფლარი და ახალგაშენებული სოფელიც. ტანის ხეობა ძირითადად მოიცავს ბოშურისა და ატენის თემში შემავალ სოფლებს, მათგან სიდიდით გამოირჩევა შემდეგი სოფლები : ზემო ბოშური, ატენი, ბიისი, ბობნევი და სხვა.

ბოლო მოსახლეობის აღწერის შედეგებმა აჩვენა (ნახ.1), რომ აქ მოსახლეობის რაოდენობა შემცირებულია, რის გამომწვევ მიზეზად არაერთი ფაქტორი სახელდება მაგალითად: ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, სასმელი წყლის პრობლემა, ჯანდაცვის სფეროს დაბალ საფეხურზე ყოფნა და სხვა.

ბოლო მოსახლეობის აღწერის შედეგის გათვალისწინებით (2014 წლის მონაცემებით), ატენისა და ბოშურის თემში შემავალი მოსახლეობის რაოდენობა და სქესობრივი სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

	სულ	მამაკაცი	ქალი
ატენის თემი	**3,070**	**1,521**	**1,549**
პატარა ატენი	861	430	431
ბნავისი	212	104	108
გარდატენი	643	327	316
დეგეულა	125	64	61
დიდი ატენი	196	86	110
დრე	0	0	0
ზემო ქსოვრისი	0	0	0
იკვნევი	0	0	0
ოლოზი	77	40	37
ფუხაანთუბანი	56	29	27
ღვარები	24	16	8
ღვედრეთი	0	0	0
წედისი	187	87	100
ჭეჭელაანთუბანი	64	31	33
ხანდისი	0	0	0
ჯებირი	623	306	317

ნახ.1 ტანის თემში შემავალი სოფლები საკუთარი მოსახლეობის რაოდენობით

(შედგენილია 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით)

როგორც მონაცემები აჩვენებს, ყველაზე მეტი მოსახლეობა ცხოვრობს პატარა ატენში, მას მოყვება გარდატენი და ბნავისი.მუდმივი მოსახლეობა არ ფიქსირდება დრეში, ქსოვრისში, იკვნევში, ღვედრეთში და ხანდიშსი. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ამ სოფლებში ძველად დიდი დასახლებები ყოფილა, სადაც ძირითადად ოსები ცხოვრობდნენ.

რაც შეეხება, სქესობრივ სქრუქტურას, მაღალია ქალების ხვედრითი წილი მოსახლეობის რაოდენობაში, თუმცა ეს შედეგი ყველა დასახლებულ პუნქტზე არ ვრცელდება. (ნახ.2)



ნახ. 2 ატენის თემში მცხოვრები ხალხის სქესობრივი სტრუქტურა

(2014 წლის საყოველთაო აღწერა)

განსხვავებულ შედეგს გვიჩვენებს ბოშურის თემის სოფლების რაოდენობა და სქესობრივი სტრუქტურა. აქ სულ 613 ადამიანი ფიქსირდება, რაც გაცილებით ცოტა ატენის თემში მცხოვრებ ხალხთან შედარებით. აქ ოთხი სოფელი მთლიანად დაცლილია მოსახლეობისაგან. ყველაზე მეტი მოსახლეობა ლევიტანაში, ბობნევსა და ზემო ბოშურში ფიქსიდებ ნახ(3). ადგილობრივი სოფლების მოსახლეობა გაცილებით იმატებს ზაფხულში, რაც აიხსნება აქ არსებული ჯანსაღი გარემოს არსებობით, რომელიც იზიდავს და აბრუნებს უკან დროებით მოსახლეობას. დაბალია აგრეთვე ახალგაზრდების ხვედრითი წილიც. მოსახლეობის უმეტესობა ასაკოვანია.

	სულ	კაცი	ქალი
ბოშურის თემი	**613**	**310**	**303**
ქვემო ბოშური	77	43	34
ბიისი	30	14	16
ბობნევი	156	81	75
გაგლოაანთუბანი	17	...	...
გაიჩაანთუბანი	0	0	0
ზემო ბოშური	132	62	70
თხიწალა	0	0	0
იფნარა	0	0	0
ლევიტანა	110	50	60
ორმოცი	35	19	16
ტუსრები	36	24	12
ფეტვიხევი	0	0	0
ყველაანთუბანი	13	8	5

ნახ.3 ბოშურის თემში შემავალი სოფლები საკუთარი მოსახლეობის რაოდენობით

(შედგენილია 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით)

რაც შეეხება ბოშურის თემში მცხოვრებ მოსახლეობის სქესობრივ სტრუქტურას, შემდეგნაირად გამოიყურება:



ნახ.4 ბოშურის თემში მცხოვრები ხალხის სქესობრივი სტრუქტურა

(2014 წლის საყოველთაო აღწერა)

ბოშურის თემში მცხოვრები ხალხის სქესობრივი სტრუქტურა(2014 წლის საყოველთაო აღწერა)

ტანის თემის დასახლებებისაგან განსხვავებით, აქ კაცების ხვედრითი წილი გაცილებით მეტია ქალებზე, მათი უმრავლესობა კი 60 წლის ზევით არის.

არსებული ინფორმაციის საფუძველზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვისაუბროთ ტანის ხეობის სოფლების მოსახლეობის დინამიკასა და თვისებრივ ხასიათზე. როგორც ატენის, ასვე ბოშურის თემის სოფლები განიცდიან თაობათა დაბერებას, რაც გამოხატება აქ არსებული მოსახლეობის რაოდენობაში, ასაკოვანი ხალხის გაცილებით დიდი ხვედრითი წილით. თუმცა განსხვავებული სურათი მაინც გვაქვს ატენისა და ბოშურის თემის დასახლებებში. უნდა აღინიშნოს, რომ ატენის თემში შემავალი დასახლებები არ უჩივიან ახალგაზრდა თაობათა რაოდენობას, რასაც ვერ ვიტყვით ბოშურის თემის დასახლებებზე. ეს შეიძლება განპირობებული იყოს ატენის, როგორც სოფლის უფრო განვითარებული პირობებით, თუნდაც სკოლების არსებობით, უკეთესი ჯანდაცვით, უკეთესი ინფრანსტრუქტურით და სხვა არაერთი ფაქტორით.

საინტერესოა აგრეთვე ტანის ხეობასი არსებული შედარებით დიდი დასახლებული პუნქტების ისტორია და დროში განვითარება, რომელთა შორის გამოსარჩევია არაერთი ადგილი. იმ მიზეზით, რომ თითოეული მათგანის განხილვა მოითხოვს დიდ დროს, ამ ეტაპისათვის, საკმარისი იქნება მოხდეს შედმდეგი სოფლების მოკლე მიმოხილვა, ესენია: სოფელი ატენი და დასახლებული პუნქტები: გარდატენი და წედისი.

ატენი

ატენი დიდი სოფელია და რამდენიმე უბნად იყოფა. ადრე ერთი სოფელი იყო და დიდი ატენი ერქვა. აქ 800 კომლი სახლობდა. ამის გამო სოფელი უმიწობას უჩიოდა.

ჯებირი - ატენის პირველი უბანია. ხალხური გადმოცემით, აქაური ყოფილა ცნობილი გმირი ჯეფირი და ამ უბანსაც მისი სახელი დარქმევია. თურმე ისეთი მოსული ვაჟკაცი ყოფილა, რომ მის ცალ პაჭიჭში ერთი კოდი ხორბალი ჩადიოდა. ატენში დღესაც ცოცხლობს ჯეფირის სახელი. აქ ხშირად იტყვიან, "ჯეფირი ხომ არა ხარო", "ღონიერია ჯეფირივითო".

ტანას ხეობის გაღმა მხარე ერისთავისა იყო, მარცხენა კი ორბელიანისა, რომლისგანაც მამულის ნაწილი შეუსყიდია ფინელ მწარმოებელ ავგუსტ ზეზემანს. აქ ჰქონდათ დიდი ვენახები, წურავდნენ კარგ ღვინოს, ჰქონდათ სარდაფები და უზარმაზარი ქვევრები.

რევოლუციის შემდეგ აქაურ მემამულეებს ჩამოერთვათ მიწები. ორბელიანის, ერისთავისა და ზეზემანის მამულები მოსახლეობას დაურიგდა. შეიქმნა ატენის ახალი უბნები: ჯებირი, ვანიანთუბანი, გარდატენი, პატარა ატენი, დეგეულა და ჭეჭელაანთუბანი. პატარა ატენის ზემო გორაკზე მდგარა ხუნგალის წმინდა გიორგის სამლოცველო, რომლის დანგრევის შესახებ ასეთი თქმულებაა: ერთ და-ძმას მშობლები პატარაობაში დახოცვია და გასაზრდელად სხვადასხვა პირს წაუყვანია. და-ძმა ერთმანეთს დაშორდა და ერთმანეთისა არაფერი იცოდნენ. მოწიფულ ვაჟს და, რომელსაც არ იცნობდა, ცოლად შეურთავს. ნეფე-პატარძალი ხუნგალის ეკლესიაში წასულა ჯვრის დასაწერად. ხუნგალის წმინდა გიორგი განრისხებულა და ჯვრისწერის დროს ეკლესია დანგრეულა. ნანგრევებში ჩამარხულან ნეფე-პატარძალი (და-ძმა), მათი მაყარი და მღვდელ-დიაკვანი.

დიდი ატენი ტანასა და საცივისხევს შორის მდებარეობს. ვახუშტი ასე აღწერს: "ატენი მცირე ქალაქი. მოსახლენი ქართველნი, სომეხნი, ურიანი. არს ციხე მაღალსა კედელსა ზედა, ნაშენი დიდი და ციხის გორის სამხრით არს საცივი, ვითარცა მყინვარი, სადაც დგება ღვინო წარჩინებული, ჩრდილოთ კერძ სდის თბილი წყალი, მკურნალი ბუგრისა, და სდის სხვაცა ცივი წყარო, ატენის სამხრით არის მონასტერი, სიონი, გუმბათოვანი, კეთილნაშენი".

წედისი

სოფელი მთის ფერდობზეა გაშენებული. გვერდით ჩამოუდის პატარა მდინარე ათრევა, მას გომარეთის წყალსაც უწოდებენ. ათრევა ტანას უერთდება ჯეგირთან. წედისში 25 კომლი ცხოვრობს. წინათ მჭიდროდ დასახლებული ყოფილა. ამას ადასტურებს ნამოსახლარები და ეკლესიის ნანგრევები და შესანიშნავი წედისის ციხე. XVIII ს-ში მოსახლეობის ნაწილი იმერეთს გახიზნულა, ზოგიც - ფრონეს ხეობაში. საყურადღებოა, რომ იმერეთში გაქცეულები ყოველ წელიწადს მოდიოდნენ აქ სალოცავად წედისის წმინდა გიორგის ხატობაში. ამ ხეობის უკანასკნელი მებატონე ნიკო ამილახვარი ყოფილა.

გარდატენი

გარდატენი ვერეს ხეობის მოზრდილი სოფელია, გაშენებულია ზედაველას ქედის ძირში. აქაურობას იცავდა კლდოვან მწვერვალზე აგებული ვერეს ციხე, რომელსაც ჩრდილოეთით ვერეს ხევი ჩამოუდის, სამხრეთით - ჭეჭელაანთ ხევი. ვერეს ხეობაში, დიდი ველების მთის ძირში ძველი ტაძარია, რომელსაც მონასტერს უწოდებენ. გადმოცემით, აქ ბერებს უცხოვრიათ. ეს ტაძარი მოხსენიებული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს: "ვერეს დაბის დასავლეთით არს დანახვისის მთის ძირის მონასტერი კეთილმშვენიერი". ტაძრის სამხრეთით სამალავი გვირაბია, რომელიც მთელ კედელს გასდევს. ამ ტაძრის წარწერაში მოხსენიებული მირიან ერისთავი და ციხისთავი გორგანელი ატენის ქალაქის მშენებლები არიან.

მონასტრის ქვევით, ვერეს ნაპირას გამართულია დანახვისის ნიში, ვისაც არ შეეძლო დანახვისზე ასვლა, დანახვისობას აქ დგებოდა და ლოცულობდა.

ზოგადად, რეგიონს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, თუმცა საჭიროა სწორი ტურისტული 'ნიშების' პოვნა და კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტების განვითარება და შეთავაზება. რეგიონში შესაძლებელია განვითარდეს, სამკურნალო ტურიზმი, ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, კულტურულ-შემეცნებითი ტურიზმი, აქტიური და ექსტრემალური ტურიზმი.

ტურიზმის განვითარება თავის მხრივ შემოსავლების ზრდისა და მოსახლეობის დასაქმების ერთ-ერთი პირობაა. კერძოდ, ტურიზმისათვის აუცილებელი კვებისა და დასვენების ობიექტების –პუნქტების შექმნა, კერძო საოჯახო სასტუმროების შექმნა, კულტურულ ძეგლებთან ტურისტული ცენტრების შექმნა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების საშუალებას წარმოადგენს და დამატებით სტიმულს შექმნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და გასაღებისათვის.

1.4 მთის კანონის ზოგადი ანალიზი და მისი გავლენა ტანის ხეობაზე

საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების უმეტესობა განიცდის დეპოპულაციის პროცესს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არაერთი უძველესი დასახლებული ადგილის გაუდაბურება, რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ქვეყნისათვის, სწორედ ამიტომ საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი, რომელიც **„მთის კანონის'** სახელწოდებით არის ცნობილი (2015 წლის 16 ივლისი). ამ კანონის მიზანია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებისათვის შეღავათების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობას,ცხოვრების დონის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალურ და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მაღალმთიან რეგიონებზე, რომლებიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მთლიანად შეესაბამება მაღალმთიანი რეგიონის ცნებას, რომლის თანახმადაც, ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიხედვით, მაღალმთიან დასახლებად ითვლება დასახლება, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, სხვადასხვა კრიტერიუმის (მთის ფერდობის დახრილობა, ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, კლიმატური პირობები და ბუნებრივი გარემო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული მდგომარეობა, მათ შორის, გამწვავებული მიგრაციული პროცესები) გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიანიჭოს დასახლებას, რომელიც ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. გამონაკლის შემთხვევაში, ამ პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების

სტატუსიშეიძლება ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლეზე ქვევით მდებარე დასახლებასაც მიენიჭოს.

ზღვის დონიდან შესაბამის სიმაღლეზე მდებარეობის მიუხედავად, მაღალმთიანი დასახლებს სტატუსი ენიჭება საქართველოს შემდეგი სტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში მდებარე დასახლებებს: ხევი, მთიულეთი, პანკისის ხეობა, მაღალმთიანი აჭარა, გუდამაყრის ხეობა, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა.

მთის კანონის თანახმად სახელმწიფოს მიერ მაღალმთიანი რეგიონების მიმართ განხორციელებული პოლიტიკა არის ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკის ნაწილი და მიმართულია საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისაკენ და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისაკენ.

მთის კანონის შექმნის მთავარ **მიზანს** წარმოადგენს :

1. მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა;
2. მაღალმთიან რეგიონებში სამეურნეო და სოციალურ-კულტურული აქტივობის გაძლიერება;
3. მოსახლეობის სტიქიური მიგრაციის შეჩერება;
4. დაცლილი და ნახევრად დაცლილი სოფლებისა და თემების აღორძინება;
5. ადგილობრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, მრეწველობის განვითარება და მოსახლეობის დასაქმების დონის ზრდა;
6. თვითმყოფადი ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების შენარჩუნება და მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა;
7. გზების მშენებლობის მოწესრიგება;
8. წიაღისეულით რაციონალური სარგებლობა, საწარმოო ობიექტების დაპროექტება და მშენებლობა მაღალმთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების პოლიტიკის

შესაბამისად.

მთის კანონი გულისხმობს ისეთ სოციალური შეღავათებს მაღალმთიან დასახლებაში როგორებიცა:

1. საპენსიო ასაკს მიღწეული მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირისათვის, სახელმწიფო პენსიის ოდენობით გათვალისწინებული ,ყოველთვიური დანამატის სახელმწიფო პენსიის არანაკლებ 20 პროცენტის – მიცემას.

2. არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისათვის, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ წესით ყოველთვიური დანამატის მიცემას

3. ექიმისათვის – სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით

4. ექთნისათვის – სახელმწიფო პენსიის ოდენობით

5. ზამთრის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა გათბობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას

6. აბონენტის მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის ანაზღაურებას

7. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი სარგებლობს საშემოსავლო გადასახადთან და ქონების გადასახადთან დაკავშირებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო შეღავათებით

საინტერესოა რამდენად გაამართლა მთის კანონის ამოქმედებამ, როგორც ჩემს მიერ შესასწავლ რეგიონში (ტანის ხეობა) ასევე : მესტისა, ონის, სტეფანწმინდის, შუახევის და თეთრიწყაროს მაგალითზე.

როგორც ცხრილიდან ჩანს (ნახ.5) 2002 წლის და 2014 წლის საყოველთაო აღწერამ არსებული

შედეგები აჩვენა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მთის კანონის ამოქმედებამ ვერ შეაჩერა მოსახლეობი მიგრაცია მთიანი რეგიონებიდან ბარში.

საინტერესოა რა გარემო ფაქტორები უშლიან ხელს მთის კანონის სწორად ამოქმედებას?

ამ მხრივ მნიშვნელოვან ფაქტრად შეიძლება განხილულ იქნას სოციალურ-ეკონომიკური დაბალი განვითარების დონე იმ ადგილებში, სადაც გათვალისწინებულია მთის კანონის შეღავათები, უშუალოდ ამ კანონის ამოქმედების შემდეგ. ბოლო დროის მონაცემებით არ

დასახლებული პუნქტი	მდებარეობა ზღვის დონიდან	მოსახლეობა	
		2002წ	2014წ
ატენის ხეობა	1110მ	1483	1452
მესტია	1500მ	2600	1973
ონი	830მ	3342	2656
სტეფანწმინდა	1750მ	1820	1326
შუახევი	420მ	980	797
თეთრიწყარო	1180მ	4041	3093

ნახ.5 დასახლებული პუნქტები და მათი ზღვის დონიდან მდებარეობა

(ცხრილი შედგენილია 2002-2014 წლის აღწერის მონაცემებით)

აღინიშნება, როგორც სოციალური ასევე ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე საქართველოს მაღალმთიანეთში. ამას ემატება მეურნეობის ნაკლებად განვითარება, რაც მთის კანონის თანახმად უნდა გამოსწორებულიყო. გარდა ამისა მეურნეობის მთელი რიგი დარგები, თითქმის არ ითვალისწინებს მოსახლეობის ეკოლოგიურ მოთხოვნებს, რაც არაერთ რაიონში გარემოს დეგრადაციის წინაპირობა გახდა. მიუხედავად საკმაოდ ყოვლისმომცველი კანონმდებლობისა, ეკოლოგიური პრობლემატიკა (მაგ., ეროზია, გაუდაბნოება) ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი გახდა, რაც იწვევს მოსახლეობის დეპოპულაციას მთიანი რეგიონიდან ბარში. მნიშვნელოვანია აგრეთვე ტრანსპორტის განვითარების ტენდენციაც, რაც დაკავშირებულია არაერთ სირთულესთა, თუმცა საჭირო და აუცილებელია იმისათვის რომ ადამიანმა შეძლოს ნორმალური ყოფა-ცხოვრება მთიან რეგიონში.

აღსანიშნავია ისიც რომ 2006 წლის 1 იანვრიდან მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირები ისარგებლებენ საქართველოს კოდექსით დადგენილი საგადასახადო შეღავათებით. კერძოთ:

ა) საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლება

ბ)მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლება

გ)ქონების გადასახადისაგან გათავისუფლება

გარდა ამ ყველაფრისა, საქართველოს მთავრობას ენიჭება უფლებამოსილება - დამატებით განსაზღვროს ეკონომიკური საქმიანობის ის სახეები, რომლებზედაც ასევე გავრცელდება აღნიშნული საგადასახადო შეღავათები.

საქართველოს „მთის კანონის“ არსიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს კანონი არის საკმაოდ ზოგადი. საჭიროა ლოკალურ დონაზე მისი გახილვა და შესაბამისი რეგულაციების დაწესება, იგი მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუწყობს ხელს საქართველოს მთიან რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესებასა და შეაჩერებს მოსახლეობისს მიგრაციას მთიდან ბარში.

საქართველოში მთის კანონის წესები ვრცელდება აჭარის, გურიის, შიდა და ქვემო ქართლის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჭხუმი ქვემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის მაღალმთიან რაიონებში. დღესდღეობით, საქართველოს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს დაახლოებით 1720 სოფელს.

ბოლო მონაცემებით საქართველოში 223 უკაცრიელი სოფელი იყო, მათი უმრავლესობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ფიქსირდება. ყველაზე სავალალო მდგომარეობაა დუშეთის რაიონში. რომლის 93 სოფელში 10 კაცზე ნაკლები ცხოვრობს.

ამ მხრივ გამორჩეული რგიონია გურია, სადაც 2014 წლისათვის არცერთი უკაცრიელი სოფელი არ იყო.

მონაცემები მოწმობს რომ, 2002 წლიდან 2014 წლამდე საქართველოში 60-ზემეტი სოფელი გაუკაცრიელდა. აღსანიშნავია, რომ სამეგრელოსა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებიდან არცერთი დასახლებული პუნქტი არ მოიაზრება „მთის კანონში“, რაც განპირობებულია რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების რელიეფული თავისებურებებიდან.

როგორც ქვემოთ არსებული დიაგრამიდან ჩანს (ნახ.6), მთიანი დასხლების სიმწირის მიხედვით აღსანიშნავია გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონები, რადგანაც აღნიშნული რეგიონების დიდი ნაწილი ხვდება კოლხეთის დაბლობის ფარგლებში.

საინტერესოა მთის კანონის გავლენა ტანის ხეობის მაგალითზე, როგორც ბოლო აღწერამ აჩვენა საქართველოში შეღავათები 1580-ზე მეტ სოფელს შეეხო, აქედან 97 მაღალმთიანი სოფელი შიდა ქართლშია. ამ სოფლებში 8399 ადამიანი ცხოვრობს . შეღავათებს-ოჯახები პირველ და მეორე შვილზე ერთი წლის განმავლობაში 100, შემდეგ შვილზე 200 ლარიან დახმარებას მიიღებენ.

ყოველთვიურ დანამატს, 180 ლარს მიიღებენ პედაგოგები და ექთნები, ექიმებს კი ხელფასი 360 ლარით გაეზრდებათ. 20%-ით მოიმატებს მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები პენსიონერების პენსიაც.

შეღავათებით ისარგებლებს ყველა ის ოჯახი, რომელიც მაღალმთიან სოფელში 9 თვეზე

მეტია ცხოვრობს, ახლად დასახლებულებისთვის კი იგივე შეღავათები 9 თვის შემდეგ ამოქმედდება.

ამ მხრივ არც ტანის ხეობის შემდეგი სოფლები გამოირჩევიან: ბოშური, ბიისი, ბობნევი და სხვა, ნაკლებად ეხება ეს ატენის თემში შემავალ სოფლებს, ვინაიდან ისინი უფრო ხელსაყრელი მდებარეობით ხასიათდებიან. აქ არსებული სოფლები საჭიროებენ მთავრობის მეტ ყურადღებას და მთის კანონის სწორად განხორციელებას, რადგანაც მთის კანონის დანიშნულება არის, დაადგინოს შეღავათები საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად, ხოლო ამ ხეობის სოფლებს კი სწორედ სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი ესაჭიროებათ.



ნახ.6 მთის კანონში შემავალი დასახლებების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

(დიაგრამა შედგენილია 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაყრდნობით)

საქართველოს მთის კანონის მიხედვით, თითოეული რეგიონი განსხვავებულია ადგილის სიმაღლით. არსანიშნავია ის ფაქტორი, რომ შიდა ქარტლის რეგიონის მთიანი სოფლები ძირითადად მდებარეობენ საშუალოდ 800-1110მ სიმაღლეზე.

2014 წლის აღწერის საფუძველზე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტანის ხეობაში ყველაზე მეტი მოსახლეობა ცხოვრობს პატარა ატენში, გარდატენში, ბნავისში, ლევიტანაში, ბობნევში, ზემო ბოშურსა და სხვა.

მთის კანონის ეფექტურობა, ტანის ხეობის მაგალითზე არც თუ ისე მაღალია. მისი შეღავათებით, სარგებლობს რამოდენიმე ოჯახი, თუმცა ეს პროცესი არ არის სრულყოფილად დაწყებული და აკლია ძალისხმევა, რადგანაც დღესაც ფიქსირდება ტანის ხეობის დასახლებულ პუნქტებში ისეთი პრობლემები რაც უნდა მოგვარებულიყო „მთის კანონის“ ამოქმედების შემდგომ. კარგია მეტად გააზრებული იქნეს ამ კანონის არსი და მნიშვნელობა თითოეული მცხოვრებისათვის.

იმისათვის რომ არიდებულ იქნას, ტანის ხეობის სოფლების მოსახლეობისაგან დაცლა, საჭიროა დაიწყოს „მთის კანონით“ არსებული შეღავათებით სარგებლობა, ამასთანავე ამ მხარეში ტურიზმის სფეროს განვითარებაც გამოაცოცხლებს ხეობას და მოუტანს აქ მცხოვრებ ხალხს დამატებით შემოსავალს.

აქ არსებული რელიეფის ფორმები და სხვა გეოგრაფიულიუ თავისებურებანი, გვაძლევს საშუალებას მნიშვნელოვნად განვითარდეს სოფლის მეურნეობა და მეცხოველეობა. ეს კი შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო შესაძლოა გახდეს მოსახლეობისათვის. მოსახლეობის მონაცემებს თუ შევადარებთ სოფლის რაოდენობას აღმოჩნდება, რომ სოფლების დიდი რაოდენობა თითქმის დაცლილია მოსახლეობისაგან.

რაც შეეხება უკაცრიელ სოფლების რაოდენობას საქართველოში და მათ შორის შიდა ქართლის მუნიციპალიტეტში, 2014 წლის მონაცემების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება



ნახ.7 უკაცრიელი სოფლების რაოდენობა საქართველოში (გ. წულაძე. 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების საფუძველზე)

როგორც დიაგრამიდან ჩანს (სურ.7), შიდა ქართლის ტერიტორიაზე 44 უსაცრიელი სოფელი აღინიშნება, მათში შედის ტანის ხეობასი არსებული შემდეგი სოფლებიც: დრე, ზემო ქსოვრისი, იკვნევი, ღვედრეთი, ხანდისი,გაიჩაანთუბანი, თხინალა, იფნარა და ფეტვისხევი. არსებულ სოფლებში ბოლო აღწერის სედეგებით, არ ფიქსირდება არცერთი მუდმივი მოსახლეობა, მაშინ როდესაც, წარსულში ეს სოფლები დასახლებული ყოფილა არაერთი ეთნიკური წარმომავლობის ხალხით.

II. ტანის ხეობის დემოგრაფიული ანალიზი

2.1 დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესების ზოგადი თავისებურებანი

დემოგრაფია (ბერძნულად ნიშნავს: დემოს _ ხალხი და გრაფო _ ვწერ) წარმოადგენს მეცნიერებას მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებათა შესახებ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დემოგრაფია ეს არის მეცნიერება მოსახლეობის შესახებ, რომელიც იკვლევს მის რაოდენობას, სიმჭიდროვეს, გეოგრაფიულ განაწილებას და სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებლებს.

დემოგრაფიული პროცესები განპირობებულია საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარებით. ტერმინი "დემოგრაფია" პირველად გამოიყენა ფრანგმა მეცნიერმა აშილ გიიარმა 1855 წელს თავისი წიგნის სათაურში _ "ადამიანთა სტატისტიკის ელემენტები ანუ შედარებითი დემოგრაფია". ა. გიიარის განმარტებით დემოგრაფია ესაა "ადამიანთა მოდგმის ბუნებრივი და სოციალური ისტორია". ტერმინმა "დემოგრაფია" ოფიციალური აღიარება მოიპოვა ჰიგიენისა და დემოგრაფიის საერთაშორისო კონგრესის ჟენევის სესიაზე 1882 წელს; გავრცელება ჰპოვა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. თავდაპირველად ტერმინი "დემოგრაფია" გამოიყენებოდა, როგორც მოსახლეობის სტატისტიკის სინონიმი.

როგორც დემოგრაფიის განსაზღვრებიდან ჩანს, იგი პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის აღწარმოებასთან. ეს პროცესი კი გულისხმობს თაობათა მუდმივი განახლების პროცესს, რომელიც შობადობისა და მოკვდაობის ურთიერთქმედების შედეგს წარმოადგენს. მოსახლეობის აღწარმოება ალბათური პროცესია, რომელსაც წარმოქმნის შობადობისა და მოკვდაობის მრავალი ერთეული შემთხვევა. პოპულაციის ხანგრძლივი არსებობა გულისხმობს მისი გარემოსთან ურთიერთქმედების პირობების შენარჩუნებას, რაც შესაძლებელია დემოგრაფიული შემთხვევების გარკვეული სახით მოწესრიგების შემთხვევაში. მსგავს პროცესებს ადგილი აქვს ბუნებაშიც. ბუნებაში პოპულაციის გამრავლებას აქვს ბიოლოგიური საფუძვლები. ადამიანის წარმოშობისა და მისი და საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე პოპულაციის აღწარმოების მართვის სისტემა განიცდის თვისებრივ ცვლილებას. გამრავლების ბიოლოგიურ მექანიზმებთან

ერთად თავს იჩენს მართვის სოციალური მექანიზმები და ფუნქციონირებას იწყებს მოსახლეობის აღწარმოების მართვის ახალი სისტემა. მოსახლეობის აღწარმოება თავის განვითარებაში გაივლის სხვადასხვა ეტაპს, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოების განვითარებასთან. ისტორიულად მოსახლეობის აღწარმოების ყოველი მსხვილი ეტაპისათვის დამახასიათებელია დემოგრაფიული პროცესების თავისებური მსვლელობა შესაბამისი დემოგრაფიული ურთიერთობებით და დემოგრაფიული ქცევით.

დემოგრაფიის საგნის გაგება და შინაარსი იცვლებოდა ცოდნის გაღრმავებისა და მეცნიერების დიფერენციაციასთან ერთად. XX საუკუნის შუა პერიოდში გარკვეულ იქნა, რომ დემოგრაფია არ დაიყვანება მარტოოდენ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისა და მიგრაციის სტატისტიკამდე. შეცნობილ იქნა, რომ დემოგრაფიას აქვს თავისი კვლევის სპეციფიკური საგანი, სინამდვილის გარკვეული მხარე, რომელსაც არ შეისწავლის არც ერთი სხვა მეცნიერება; კერძოდ - ადამიანთა თაობის განახლება, ე.ი. შობადობის, მოკვდაობის, მოსახლეობის სქესობრივასაკობრივი სტრუქტურის ფორმირებისა და აგრეთვე ქორწინებისა და განქორწინების პროცესების ურთიერთქმედება, რაც მთლიანობაში მოსახლეობის აღწარმოებას განეკუთვნება.

მნიშვნელოვანია დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების და მიგრაციის, როგორც პროცესის ურთიერთ კავშირი. ძველ დროს მიგრაცია სულ უფრო ხშირად განიხილება როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების საგანი, რომელიც შეისწავლის ადამიანთა განსახლება გადაადგილების კანონზომიერებებსა და მათ ცვალებადობას. მიუხედავად ამისა, მოცემულ სახელმძღვანელოში, მიგრაციას გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი, ვინაიდან დემოგრაფს, დემოგრაფიული ვითარების განხილვა-ანალიზისას, უწევს მიგრაციული პროცესების გათვალისწინება. დემოგრაფია ამუშავებს დემოგრაფიული პროცესებისა და დემოგრაფიული სტრუქტურების აღწერილობის, ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდებს. პრაქტიკულად დემოგრაფიული კვლევის სფეროში შედის დემოგრაფიული ვითარების აღწერილობა, ქვეყანაში, მის ცალკეულ რეგიონში ან/და მოსახლეობის ჯგუფებში, დემოგრაფიული ტენდენციებისა და ფაქტორების ანალიზი. სხვადასხვა თაობაში, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებსა და ზოგადად მოსახლეობაში დემოგრაფიული პროცესების თავისებურებების შესწავლის საფუძველზე, დემოგრაფია აფასებს მათ შესაძლებელ ცვალებადობას მომავალში და შეიმუშავებს დემოგრაფიულ პროგნოზებს. 13

დემოგრაფია შეისწავლის არა ცალკეული ადამიანის მახასიათებლებსა და მათ ცვალებადობას, არამედ მათ ერთობლიობებს, რომლებსაც გარკვეული მახასიათებლები აქვთ. ასეთი ერთობლიობები ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით ერთგვაროვანია. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დემოგრაფიულ ერთობლიობაში შეიძლება შედიოდნენ არა მარტო ადამიანები, არამედ ოჯახი ან უფრო მსხვილი ისეთი ჯგუფები, როგორიცაა თაობა. ასეთ შემთხვევაში შესწავლის ობიექტი ხდება ჯგუფის სტრუქტურაც. ცალკეული დემოგრაფიული შემთხვევები _ დაბადება, სიკვდილი, ქორწინება და ქორწინების შეწყვეტა დემოგრაფიაში განიხილება როგორც სიმრავლე, როგორც ასეთ შემთხვევათა თანმიმდევრობა, რომელიც თაობის ცხოვრების მანძილზე ხდება. დემოგრაფიულ შემთხვევათა თანმიმდევრობა წარმოქმნის დემოგრაფიულ პროცესებს: შობადობას, მოკვდაობას, ქორწინებას, განქორწინებას, დაქვრივებას და მათი ურთიერთმოქმედების შედეგად მოსახლეობის აღწარმოებას. არსებული ნორმები და განწყობები განსაზღვრავენ შესაბამის დემოგრაფიულ ქცევას: მატრიმონიალური - ქორწინებაში შესვლა და ოჯახის ფორმირება, რეპროდუქციული - ბავშვთა შობა, თვითშენახვითი - დამოკიდებულება ჯანმრთელობისა და სიცოცხლისადმი და მიგრაციული. მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებებისა და ზოგადად მოსახლეობის აღწარმოების ძირითადი ტენდენციების შესწავლა ეფუძნება ისტორიულ პრინციპს. ამ პრინციპის თანმიმდევრული გამოყენება გულისხმობს არა მარტო დემოგრაფიული პროცესების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის შესწავლას, არამედ დემოგრაფიული პროცესების ისტორიული ტენდენციების გახსნა - გამოვლენასაც. დემოგრაფია ადამიანთა ერთობლიობებში მიმდინარე გარკვეულ პროცესებს იკვლევს. ასეთ შემთხვევაში ერთობლიობების ანალიზი მაკრო დონეს გულისხმობს. ამ თვალსაზრისით დემოგრაფია ყოველგვარი მსჯელობის გარეშე შეიძლება განვიხილოთ მაკროდემოგრაფიად.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელობვანია დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების სწორად შეფასება და განსაზღვრა.

მოცელული მომენტისათვის, მნიშვნელოვანია მიგრაციის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესის განხილვა, როგორც თეორიული ისე პრაქტიკულ ჭრილში. როგორც ცნობილია მოსახლეობის მიგრაცია არის ადამიანების გადაადგილება ამა თუ იმ ტერიტორიის საზღვრებს იქით საცხოვრებელი ადგილის, სამუშაოდ ან მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროით ადგილის შეცვლის მიზნით. გადაადგილების ხანგრძლივობის

მიხედვით გამოყოფენ მუდმივ და დაბრუნებით მიგრაციას. ეს უკანასკნელი შეიცავს დროებით მიგრაციას. მიგრაციის ცნება შეიცავს სეზონურ და ქანქარისებურ მიგრაციას, თუმცა ვიწრო გაგებით მოსახლეობის მიგრაცია სწორედ მის მუდმივ ფორმას გულისხმობს.

მიგრაციის ძირითადი მიზეზები სოციალურ-ეკონომიკური ხასიათისაა, თუმცა არსებითი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ და სამხედრო მიზეზებსაც, აგრეთვე ბუნებრივ პირობებს. მიგრაციამ მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი როლი ითამაშა კაცობრიობის განვითარებაში. მიგრაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურაზე. ასევე დიდია მიგრაციის გავლენა მოსახლეობის სოციალურ და ეთნიკურ სტრუქტურაზე, მოსახლეობის განლაგებასა და განსახლებაზე. მოსახლეობის მიგრაციას, როგორც განსაკუთრებულ პროცესს, შეისწავლის დემოგრაფია, სოციოლოგია, ეკონომიკა, ისტორია, გეოგრაფია. ამ დარგების ფარგლებში მოსახლეობის მიგრაციის თაობაზე გარკვეული თეორიული წარმოდგენები გამომუშავდა. სხვა დისციპლინებისათვის (სოციალური ჰიგიენა, სოციალური ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია და სხვა) მოსახლეობის მიგრაცია – მხოლოდ ერთ-ერთია იმ ფაქტორთაგან, რომლებიც გავლენას ახდენს ამ დისციპლინების ჩარჩოებში მიმდინარე პროცესებზე.

მოსახლეობის მიგრაციის შესახებ მონაცემების ძირითადი წყარო სახელმწიფო სტატისტიკაა. მოსახლეობის მიგრაციას იკვლევენ მაჩვენებელთა სისტემის მეშვეობით, თითოეული მათგანი კი წარმოგვიჩენს ამ ზოგადი მოვლენის ამა თუ იმ უპირატეს მხარეს (მიგრანტების შემადგენლობა, მათი მოცულობა, გადაადგილებათა მიმართულება, მათი ინტენსივობა და შედეგიანობა და სხვა). მოსახლეობის მიგრაციის იდენტიფიკაციის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი ტერიტორიის (სახელმწიფოს, ოლქის, ქალაქის და ა.შ.) ადმინისტრაციული საზღვრების გადაკვეთაა. ამ საფუძველზე უწინარეს ყოვლისა გამოიყოფა გარე მიგრაცია (ემიგრაცია და იმიგრაცია) და შიდა მიგრაცია. მოსახლეობის გარე მიგრაცია (საერთაშორისო) უკავშირდება სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას და ასევე იყოფა საკონტინენტშორისო და შიდასაკონტინენტო მიგრაციებად (თუმცა კი ამგვარი დაყოფა პირობითია). შიდა მიგრაციას განეკუთვნება გადაადგილება ადმინისტრაციულ ან ეკონომიკურ რეგიონებსა თუ დასახლებულ პუნქტებს შორის ერთი ქვეყნის ფარგლებში. გადაადგილებები დასახლებებს შიგნით (მაგ. საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ერთი ქალაქის ფარგლებში) არ განიხილება როგორც მოსახლეობის მიგრაცია. ერთმანეთისაგან განასხვავებენ სოფლის მოსახლეობის

მიგრაციასა და ქალაქის მოსახლეობის მიგრაციას, ქალაქთაშორის მიგრაციასა და მიგრაციას სოფლად – მიგრაციულ ნაკადებს “სოფელი – ქალაქი”, "ქალაქი – ქალაქი", "ქალაქი – სოფელი", "სოფელი – სოფელი".

მნიშვნელოვანია მოსახლეობის მიგრაციის კლასიფიკაცია სხვადასხვა მიზეზების მიხედვით – მათ შორის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური ხასიათისაა (გადაადგილება სამუშაოს შოვნის მიზნით, განათლების მისაღებად, დაქორწინების მიზნით და ა.შ.). არცთუ მცირე როლს თამაშობენ ასევე პოლიტიკური, ეროვნული, რელიგიური, სამხედრო, ეკოლოგიური თუ სხვა მიზეზები.

მოსახლეობის მიგრაციის პროცესი შეიცავს სამ სტადიას: პოტენციურ მიგრაციას, საკუთრივ მიგრაციასა და მიგრანტების ადაპტაციას არსებული საცხოვრებელი პირობების მიმართ ახალი დასახლების ადგილზე. მოსახლეობის მიგრაციამ კაცობრიობის განვითარებაში უდიდესი და მრავალმხრივი როლი შეასრულა. იგი რთული სოციალური პროცესია, რომელიც მჭიდრო კავშირშია სხვადასხვა რეგიონებში ეკონომიკის განვითარების დონესთან.

მიგრაციასთან მიმართებასი ხშირად ხმარობენ შემდეგ ტერმინებს:

შიდა მიგრაცია – ადამიანების გადაადგილება ქვეყნის ერთი რეგიონიდან მეორეში ახალ საცხოვრებელ ადგილზე დამკვიდრების მიზნით, ან მგვარი შედეგით. აღნიშნული მიგრაცია შეიძლება იყოს დროებითი ან მუდმივი. შიდა მიგრანტებიგადაადგილდებიან, მაგრამ რჩებიან წარმოშობის ქვეყნის საზღვრებში

ინდივიდუალური მიგრაცია – ცალკეული პირების ან ოჯახების მიგრაციის შემთხვევები. მასობრივი მიგრაციის პროგრამებისგან განსხვავებით, მსგავსი გადაადგილებები, ჩვეულებრივ, თვითდაფინანსებულია, ან ფინანსდება კერძო პირების, ორგანიზაციების ან სახელმწიფოს მიერ.

იძულებითი მიგრაცია – ზოგადი ტერმინი, რომელიც გამოიყენება მიგრაციული ნაკადების დასახასიათებლად, რომელთა შემთხვევაშიც არსებობს იძულების ელემენტი, მათ შორის სიცოცხლისა და არსებობის მიმართ საფრთხე, რომელიც გამოწვეულია ბუნებრივი, თუ ადამიანის ჩარევით განპირობებული მიზეზებით (მაგ., ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით

გადაადგილებულ პირთა ნაკადები, ასევე ბუნებრივი, ეკოლოგიური, ქიმიური და ბირთვული კატასტროფებით, შიმშილობით და განვითარების პროექტებით გამოწვეული გადაადგილება).

გადაადგილებული პირი – პირი, რომელიც ტოვებს თავის ქვეყანას ან თემს შიშის ან იმ საფრთხეების გამო, რომლებიც განსხვავდება იმ გარემოებებისგან, რომლებიც მას ლტოლვილად აქცევდა. გადაადგილებული პირი ხშირად იძულებულია დატოვოს ჩვეული გარემო შიდა კონფლიქტის ან ბუნებრივი ან ადამიანის ჩარევით გამოწვეული კატასტროფის გამო.

სპონტანური მიგრაცია – პირი ან პირთა ჯგუფი, რომელიც მიგრაციასთან დაკავშირებულ გეგმებს ნებისმიერი გარე დახმარების გარეშე შეიმუშავებს და განახორციელებს. სპონტანური მიგრაცია, ჩვეულებრივ, გამოწვეულია მიგრაციის მამოძრავებელი ფაქტორებით და ხასიათდება სახელმწიფო ან ნებისმიერი სხვა სახის საერთაშორისო, თუ ადგილობრივი დახმარების არარსებობით.

სოფლიდან სოფლად მიგრირებულები – შიდა მიგრანტები, რომლებიც გადაადგილდებიან ერთი სოფლის დასახლებიდან მეორეში.

სოფლებიდან ქალაქებში მიგრირებულები – შიდა მიგრანტები, რომლებიც გადაადგილდებიან სოფლის დასახლებებიდან ქალაქებში.

2.2 საქართველოს მოსახლეობის დინამიკა და დემოგრაფიული პრობლემები

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში განვითარებულმა უარყოფითმა პროცესებმა უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი და დემოგრაფიული სისტემის არსებობა გამოიწვია, რაც განპირობებული იყო საბჭოთა კავშირის დაშლით, რასაც მოყვა ათობით წლების მანძილზე არსებული ეკონომიკური კავშირების მყისიერმა გაწყვეტა.

1990-იანი წლების პირველ ნახევარში კატასტროფულ ვარდნას განიცდიდა ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები. არსებული მდგომარეობა თითქმის მყისიერად აისახა

დემოგრაფიულ მაჩვენებლებში. მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის და დაბადებულთა აბსოლუტური რაოდენობა, გაიზარდა მოკვდაობის კოეფიციენტი, ინტენსიურად მიმდინარეობდა მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესი, ძალიან მაღალ მასშტაბებს მიაღწია ემიგრაციამ.

1990-იან წლებში საქართველოში შეიმჩნეოდა შობადობის მკვეთრი კლების ტენდენცია, რომელიც 2005 წლის ჩათვლით გრძელდებოდა. მომავალში, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების პროცესის გათვალისწინებით, მოსალოდნელია არსებული დონის მეტნაკლებად შენარჩუნება ან მცირე მატება.

შობადობისა და მოკვდაობის სფეროებში მიმდინარე პროცესები, მოსახლეობის ბუნებრივ მატებაში პოულობს საბოლოო ასახვას. 1990-2017 წლებში მკვეთრად (80.8%-ით) შემცირდა საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი, რომელმაც 2017 წელს მხოლოდ 1.5‰ შეადგინა.

მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ურბანიზაციის როლის ზრდას , საქართველოს მოსახლეობის მიგრაციულ პროცესებში. როგორც ცნობილია საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობდა ურბანიზაციის პროცესი. თუკი მე-19 საუკუნის მიწურულს ქალაქებში ცხოვრობდა ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 15.8%, 2017 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 57.2%

საქართველოს მოსახლეობის შობადობის, მოკვდაობისა და ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტების დინამიკა (1990-2017 წწ.).

1990 წელს თბილისში, ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის 26% ცხოვრობდა. 2017 წლის მონაცემების თანახმად კი აღნიშნულმა მაჩვენებელმა 29%-ს გადააჭარბა. ამჟამად თბილისში ცხოვრობს ქვეყნის ქალაქის მოსახლეობის საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი (51%). თბილისის შემდგომ, ყველაზე მრავალრიცხოვანი ქალაქებია: ბათუმი, ქუთაისი და რუსთავი.



ნახ.8. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის წილი ქვეყნის მოსახლეობის საერთო რადენობაში (1989-2014 წწ.).

როგორც არსებული დიაგრამიდან ჩანს (ნახ.8) საქართველოს ქალაქებში მოსახლეობის ხვედრითი წილი დაახლოებით 30 წლის განმავლობაში, ყოველთვის აღემატებოდა სოფლის მოსახლეობის ხვედრით წილს. რაც ცხადყოფს და ხაზს უსვავს, ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას გასული წლებიდან დღემდე.

მნიშვნელოვანია საქართველოში არსებულ მიგრაციული პროცესების დროში განვითარების ისტორიაც. საქართველოს სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, სხვადასხვა ფორმითა და ინტენსივობით, ყოველთვის ახასიათებდა მიგრაციული პროცესები. მიუხედავად ამისა, ქართველები ისტორიულად ნაკლებად მიგრირებად ერებს მიეკუთვნებოდნენ, რასაც ხელს უწყობდა მიწათმოქმედების და კულტურის ისტორიული ტრადიციები.{როლანდ თოფჩიშვილი. 1984}

საბჭოთა იმპერიის არსებობის პერიოდში გარე მიგრაციული პროცესები მინიმალური იყო, ვინაიდან აღნიშნული იმპერია პრაქტიკულად ჩაკეტილ სივრცეს წარმოადგენდა.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, საზღვრების გახსნისა და 1990-იან წლებიდან განვითარებული არაორდინარული მოვლენების შედეგად, რადიკალური ცვლილებები განიცადა მიგრაციული ნაკადების მიმართულებებმა, წარმოუდგენლად გაფართოვდა მიგრაციის გეოგრაფია, შეიცვალა, მიგრანტთა ასაკობრივი, სქესობრივი და სოციალური სტრუქტურა. განსაკუთრებით დიდ მასშტაბებს აღწევდა მიგრაციის უარყოფითი სალდო 1992-1996 წლებში.

მიგრაციული პროცესები ძირითადად განპირობებულია ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით და უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლით.

2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით 2002-2014 წლებში შორის პერიოდში, საქართველოს რეგიონებს შორის დადებითი შიდა მიგრაციული სალდო გააჩნდათ მხოლოდ თბილისს და ქვემო ქართლის რეგიონს. ყველაზე მაღალი უარყოფითი შიდა მიგრაციული სალდო დაფიქსირდა იმერეთში და სამეგრელო – ზემო სვანეთის რეგიონებში.

საქართველოსათვის უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს დროებით ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემა. რომლის უმეტესი მოსახლეობა სწორედ შიდა ქართლის ტერიტორიაზეა დასახლებული. საქართველოში არსებობენ ეკო-მიგრანტები, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ პირთა განსაკუთრებულ კატეგორია წარმოადგენენ. აღსანიშნავია, რომ ქვეყნაში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მინიჭების საფუძველს არ წარმოადგენს სტიქიური უბედურებები, რის გამოც ეკო-მიგრანტები სამართლებრივი დაცვის ფარგლებს გარეთ იმყოფებიან. ეკო-მიგრანტების უმრავლესობა აჭარაშია თავმოყრილი, სადაც მდგომარეობას ართულებს თავისუფალი მიწის ნაკვეთების სიმცირე და მოსახლეობის შედარებით მაღალი ზრდის ტემპი.

საქართველოში არსებული არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად, მნიშვნელოვნად ცვლილება განიცადა მოსახლეობის რეგიონულმა განაწილებამ. 2002-2014 წლებში, თბილისის გამოკლებით, ყველგან მოსახლეობის კლება დაფიქსირდა.

განსაკუთრებით დიდი იყო კლების მასშტაბი იმერეთში და სამეგრელო-ზემო სვანეთში.

ყველაზე ურბანიზებულია აჭარა და იმერეთი. დაბალურბანიზებულ რეგიონებს მიეკუთვნება კახეთი მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე. 2017 წლისთვის, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ყველაზე მაღალი იყო აჭარაში და ქვემო ქართლში, დანარჩენ რეგიონებში კი, აღნიშნული მაჩვენებელი კრიტიკულ მნიშვნელობაზე დაბალი იყო, სწორედ ამ რიცხვში შედის შიდა ქართლის მხარეც.

2.3 ტანის ხეობის დემოგრაფიული ვითარება

საქართველოში ბოლო პერიოდში განვითარებულმა პოლიტიკურმა თუ სოციალურ-ეკონომიკურმა პროცესებმა დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს მაღალ მთიან სოფლებში მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესებზე. ამ მხრივ არც ტანის ხეობაში შემავალი სოფლები გამოირჩევიან. აქ მოსახლეობის რიცხოვნება ცალკეული დასახლებების მიხედვით განსხვავებულად იცვლებოდა. განსხვავება ყველაზე მეტად შეინიშნება უფრო მთიან და ნაკლებად მთიან დასახლებეს შორის.

მოსახლეობის შემცირებაც სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს. ყველაზე მეტად ეს პროცესი მიმდინარეობს ბოშურის თემში შემავალ სოფლებში, რომლებიც გაცილებით რთული რელიეფური თავისებურებებითა და ზღვის დონიდან გაცილებით მაღლა მდებარეობით გამოირჩევიან.

დეპოპულაციის პრობლემა სერიოზულ საფრთხეს უქმნის და აძლევს ბიძგს აქ არსებულ სოფლებს, მივიდნენ გაუდაბურების პირას. ეკონომიკურ კეთილდღეობას, პოლიტიკურ სტაბილურობასა და ეთნიკურ-კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას დიდი როლი ეკისრებ, როგორც ყველა მაღალმთიანი რეგიონის დეპოპულაციის შეჩერებაში, ასევე ტანის ხეობის დასახლებული პუნქტების შენარჩუნებაში.

მიგრაცია არა მარტო ტანის ხეობის, არამედ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გლობალური და ამავდროულად, კომპლექსური პრობლემაა, რადგან იგი არა მხოლოდ დემოგრაფიული, არამედ სერიოზული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემაც არის და არა ერთ სირთულეს ქმნის მსოფლიოს მთელ რიგქვეყნებში.

ტანის ხეობაში ძირიდადად მიგრაციების მთავარი მიზეზები სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებია. აქ შიდა მიგრაციების ყველაზე გავრცელებული სახეა მიგრაცია 'სოფელი-ქალაქი'., რაც გულისხმობს სოფელშიმცხოვრებიმოსახლეობის გადასვლას ქალაქში. განვითარებულ ქვეყნებში ეს პროცესი უკვე რამდენიმე საუკუნეა, მიმდინარეობს და, პრაქტიკულად, თავის მაქსიმალურ მაჩვენებელს უკვე მიაღწია. საინტერესოა ასევე მიგრაციის მეორე ფორმაც - „ქალაქი-სოფელი", აც გულისხმობს მოსახლეობის მიგრაციას ქალაქიდან სოფელში. შედარებით უზრუნველყოფილი ფენები ამჯობინებენ, ქალაქის მტვერსა და ხმაურს გაერიდონ და ქალაქთან ახლოს, სოფლად, ბუნებაში დასახლდნენ. მიგრაციის ეს ფორმა შედარებით ახალია საქართველოსათვის, თუმცა აღსანიშნავია რომ ეს პროცესი ნელნელა იკიდებს ფეხს, რაც აისახება კიდეც ნელნელა ტანის ხეობის რამოდენიმე დასახლებულ პუნქტზე.

ტანის ხეობის კარგი გეოგრაფიული მდებარეობამ, შეიძლება განაპირობოს მომავალში მოსახლეობის მატება, რაც განპირობებული იქნება მისი სიახლოვით დედაქალაქთან, აქ არსებული კულტურული მემკვიდრეობით, ბიზნესის განვითარებით, ტურისტრური მარშუტების შედგენით და სხვა.

თუ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის დინამიკას განვიხილავთ ცალკეული დროის მიხედვით (მ.ფუტკარაძე- „საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნების დინამიკის შიდარეგიონული თავისებურებები"), ვნახავთ რომ საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პრობლემები, არ შეესაბამება გლობალურ დემოგრაფიულ პროცესებს. საქართველოს მთიანეთსი მოსახლეობის ლება განპირობებულია გაუარესებული სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის ფონზე, რამაც ბუნებრივი მიძრაობის შემცირება გამოიწვია და გააქტიურდა მიგრაციული პროცესები. იგივე სიტუაციაა ტანის ხეობის სოფლებშიც.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ბუნებრივი მატება 8,6 პრომილედან 1,6 პრომილემდე შემცირდა. ბუნებრივი მატების შემცირება აღინიშნება საქართველოს ყველა რეგიონშ. (მ.ფუტკარაძე).

ტანის ხეობის მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპის გაუარესება განპირობებულია აგრეთვე, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურითაც.

თუ საქართველოს დემოგრაფიულ ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მთაში წინათ მეტი ხალხი ცხოვრობდა, ანუ საქართველოს მთიანეთს აქვს პოტენციალი, რომ დაიტიოს გარკვეული რაოდენობის მოსახლეობა ისე რომ საფრთხე არ შეექმნას გარემო პირობებსაც. თუნდაც მარტო ტურიზმის განვითარება საქართველოს მთიანი სოფლების ეკონომიკას ჯეროვნად გააუმჯობესებს. მაგრამ ამისათვის საჭიროა სოფლებში ცხოვრობდეს მოსახლეობა, ვინც დაუწევს მომსახურებას ტურისტებს, ვინც არ დაკარგავს ჩვენთვის დამახასიათებელ კულტურასა და ტრადიციებს, რაც მეტად საინტერესოა უცხოელი ტურისტებისათვის.

როგორც გამოჩნდა, ტანის ხეობის ტერიტორიის მოსახლეობის მიგრაციის მაშტაბები და მასთან დაკავშირებული პრობლემები საკმაოდ საგულისხმოა. აქ ამგვარი დემოგრაფიული ვითარების გამოსწორების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ამ პრობლემის ძირფესვიანად გააზრება და შემდგომში ყველა იმ გარემო გფაქტორების შეფასება, რომელიც დააბრუნებს მოსახლეობას ქალაქიდან მთაში. მნიშვნელოვანია სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება. ამ შემთხვევაში, დიდი როლი ენიჭება გლობალურ, ლოკალურ და რეგიონალურ გამოწვევების ანალიზს და მათთან ადაპტაციის გზების დასახვას.

III. გარემო ფაქტორების გავლენა ტანის ხეობის მიგრაციაზე

მნიშვნელოვან ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ დემოგრაფიულ პროცესებზე და განსაზღვრავენ მიგრაციის ინტენსივობას შემდეგნაირად გამოიყურება:

1.ეკონომიკური ფაქტორი

2.სოციალური ფაქტორი

3.ეკოლოგიური ფაქტორი

3.1 ეკონომიკური ფაქტორი

ეკონომიკური ხასიათის პრობლემათა შორის უპირველესი ენერგეტიკული პრობლემებია. მუდმივად იზრდება ენერგიის წყაროების როგორც მოპოვების მასშტაბები, ისე ათეულობით სახელმწიფოს დამოკიდებულება ენერგეტიკული რესურსების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებზე. მოსახლეობის ზრდასთან ერთად, იზრდება ბუნებრივ აირზე და ელექტრო ენერგიაზე მოთხოვნილება. სახელმწიფომ უნდ არეგულიროს ყველა ისე გარემო ფაქტორები, რომელიც ხელს შეუშლია ან სრულად შეზღუდავს მოსახლეობის მომარაგებას ბუნერივ აირითა და ელექტროენერგიით.

დღესდღეობით მსოფლიოს არაერთ რეგიონს არგააჩნია ბუნებრივი აირი და ელექტრო ენერგია, რაც ხელს უშლის ამა თუიმ რეგიონების განვითარებას. ამ მხრივ საქართველოს რეგიონებიც არ წარმოადგენენ გამონაკლისს, ეს განსაკუთრებით ეხება მაღალმთიან რეგიონებს, მათ შორის არის ტანის ხეობაში შემავალი ისეთი სოფელები როგორებიცაა: დრე, ოლოზი, ფეტვისხევი, თხინალა და სხვა. თუ ამ სოფლების მოსახლეობის რაოდენობას ვნახავთ, დავინახავთ რომ ეს სოფლები განიცდიან მოსახლეობის დეპოპულაციის დიდ პროცეს, რის გამომწვევ ფაქტორადაც შეიძლება სწორედ უშუქობა და უგაზობა დასახელდეს.

საქართველოში ბოლო მონაცემებით 50 სოფელს არ მიეწოდება 20 წელზე მეტია ელექტროენერგია და მათ რიცხვში შედის გაგლუაანთუბანი, ქსოვრისი, იფნარი, ველები, თხინალა. ხუთივე მათგანი განეკუთვნება ტანის ხეობის სოფლებს.

დიდია გაუმართავი ინფრასტრუქტურის როლიც, რომელთა მიმართებაში აღსანშნავია გზის არ ქონის ფაქტორი.დღეს ტანის ხეობის უმეტეს სოფლებში არ არის ნორმალური გზა გაყვანილი, მეტიც ზოგგან საერთოდ არ არის სატრანსპორტო გზა და მხოლოდ საფეხმავლო გზა მიუყვება. დღეში მხოლოდ ერთხელ მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი,რომელიც აკავშირებს სოფლებს ქალაქ გორთან. რაც შეეხება ამ სოფლების გაზიფიცირებას პროცესი უკვე დაწყებულია და ტენდერისდასრულებისთანავე უნდა იქნას მოგვარებული ეს პრობლემა.

3.2 სოციალური ფაქტორი

გლობალურ სოციალურ პრობლემათა შორის უპირველესად აღსანიშნავია შემდეგი ფაქტორები:

1. სასურსათო პრობლემა
2. სიღარიბე, უმუშევრობა, უსახლკარობა
3. ჯანმრთელობის პრობლემა
4. განათლების პრობლემა

1.ამა თუ იმ ადგილზე მოსახლეობის განვითარებისათვის საჭიროა, მოგვარებულ იქნას სურსათი პრობლემა, ვინაიდან სურსათის არ არსებობის შემთხვევას, ვერც ერთ ტერიტორიაზე ვერ მოხდება მოსახლეობის დასახლება ან თუნდაც დეპოპულაციის პროცესის ხელის შეშლა. იგივე პრობლემა ფიქსირდება ტანის ხეობაშიც. ბოშურის თემში შემავალ სოფლებთა უმრავლესობაში არ ფუნქციონირებს არცერთი მაღაზია. ინფრასტრუქტურის გაუმართაობისა და გზის სიშორის გამო ვერ ხერხდება ყოველდღე დიდი მანძილის გავლა საკვები პროდუქცის შესაძენად. სწორედ ამიტომ აქ მყოფი მოსახლეობის უმეტესობა საკვებ პროდუქტებს ყიდულობს დიდი რაოდენობით, რასაც ხშირად თან ახლავს მისი გაფუჭება. შესაბამისად მოსახლეობის დიდი ნაწილი განიცდის ფინანსურ ზარალს. ამას ემატება ისიც რომ აქ არსებული რელიეფიდან გამომდინარე არ არის დიდი მიწის ფართობები განკუთვნილი მიწათმოქმედებისათვის. შესაბამისად მოყავთ ძირითადად ერთწლიანი პროდუქტები: სიმინდი, პომინდორი, კატოფილი და სხვა.

ხეობაში დღემდე მაღალია მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება. ყველაზე მეტი რაოდენობა აღინიშნება რძის ნაწარმის წარმოებაში მას მოჰყვება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოება. ზემო სოფლებში ფუნქციონირებს ფერმები. რაც ხელს უწყობს რამოდენიმე დასახლებული პუნქტის სიცოცხლისუნარიანობას.

2.სიღარიბე, უმუშევრობა და უსახლკარობა გლობალურ პრობლემათა შორის განიხილება. მოსახლეობის სიღარიბეს განსაზღვრავს ისეთი ფაქტორები, როგორიც არის უმუშევრობის დონე, საბინაო პირობები, სამომხმარებლო კალათის შემადგენ ლობა და ა. შ. საინტერესოა ისიც, რომ სიღარიბე შეფარდებითი ცნებაა და ერთი და იგივე შემოსავალი და საყოფაცხორებო პირობები თუ ერთ ქვეყანაში აშკარა სიღარიბეზე მიგვითითებს, მეორე ქვეყანაში შესაძლებელია, სავსებით საკმარისად ჩაითვალოს ნორმალური ცხოვრებისთვის.

უმუშევრობა უაღრესად სერიოზული გლობალური პრობლემაა, რომელიც მეტ-ნალებად აწუხებს პრაქტიკულად ყველა ქვეყანას. უმუშევრად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელსაც არ აქვს ანაზღაურება დი სამუშაო მიუხედავად იმისა, რომ აქვს მუშაობის სურვილი და შესაძლებლობა.

განვითარებად ქვეყნებში უმუშევრობა გამოწვეულია საერთო სოცილურ-ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილბით. ამას ემატება მოსახლეობის ძალიან სწრაფი ზრდა, რაც ყოველწლიურად იზრდება.

უსახლკარობა ანუ უბიანობა სერიოზული სოციალური პრობლემაა. უსახლკაროდ ტვლება პირი, რომელსაც არ აქვს მუდმივი საცხოვრებელი. ფართო გაგებით რომ ვთქვათ, უსახლკაროდ შეიძლება მივიჩნიოთ მსოფლიო მოსახელობის ინ ნაწილი, რომელიც მომთაბარე ცხოვრებას .

უსახლკარობას არ ც თუ იშვიათად სოფლადაც ვაწყდებით. უმუშევართა და უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხების მასა ქალაქს აწყდება და კიდევ უფრო ამძიმებს ისედაც უმწვავეს სიტუაციას.

დღესდრეობით საქართველოს მაღალმთიან რეგიონების უმრავლესობაში, აღინიშნება როგორც უმუშევრობის მაღალი დონე ასევე უსახლკარობა და სიღარიბე. ტანის ხეობის

სოფლებიც, განიცდიან მსგავს პროცესებს. აქ არ არის სამუშაო ადგილები, მოსახლეობის უმეტესობა მოხუცებული და გაჭირვებულია, საპენსიო დანამატები არ არის საკმარისი კვებისა და მედიკამენტებისათვის. ზოგის საცხოვრებელი სახლი სიძველის გამო კარგავს ძველ სახეს, და საჭიროებს დროულ შეკეთებას. ბევრი ოჯახი იღებს სოციალურ დახმარებას, თუმცა ეს არ არის საკმარისი ხუთ ან ექვს სულიანი ოჯახის შესანახად, შესაბამისად ჩნდება იმის მოთხოვნილება რომ მოძიებულ იქნას ისეთი გამოავალი, რომელიც შეუქმნის მოსახლეობას უკეთეს პირობებს. უმეტეს შემთხვევაში კი ასეთი სიტუაციები, საცხოვრებელი მიწაწყლის დატოვებით მთავრდება და იწყება მიგრაციული პროცესები მთიდან ბარში, უკეთესი ყოფის საძიებლად.

3. ჯანმრთელობის პრობლემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი გლობალური-სოციალური პრობლემაა. მედიცინის გავითარების დაბალი დონე, მძიმე სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ჩამორჩენლობა ის მიზეზები იყო, რომლებიც სიკვდილანობის მაღალ მაჩვენებელსა და დაავადებების მასობრიობას განსაზღვრავდა. უკანასკნელ ათწლეულებში მთლიანად მსოფლიოში საგრძნობლად გაუმჯობესდა სოციალურ-ეკონომიკური მდგომრეობა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, დიდი პროგრესი აღინიშნება მედიცინის განვითარებაშიც. შესაბამისად, გარკვეული წარმატებები შეიმჩნევა : შემცირდა სიკვდილიანობის კოეფიციენტი, გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, შემცირდა სიკვდილიანობა და ა. შ.

ჩემს მიერ შესწავლილ ხეობაში ვითარება ამ მხრივ საკმაოდ მძიმეა, რადგანაც აქ არ არსებობს სამედიცინო, სამკურნალო ან თუნდაც სადიაგნოსტიკო დაწესებულება. არ არის აფთიაქი. ჭირს სასწრაფო სამედიცინო დახმარების დროულად აღმოჩენა. ხეობა არ გამოირჩევა კარგი ეკონომიკური მდგომარეობით, რაც ასახვას პოვებს მოსახლეობის ჯანმრთველობაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ აქ არსებული კარგი ჰავა და კლიმატი, სასმელი წყლის სისუფთავე და სხვა რიგითი ფაქტორები განაპირობებს ადამიანის ჯანსაღ გარემოს და ხელს უწყობს ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდას.

თუმცა ყველა არსებული ფაქტორების გათვალისწინებით, შეიძლება ვთქვათ, რომ ჯანმრთელობის დაცვის პრობლემა მეტად აქტუალურ პრობლემად რჩება ტანის ხეობაში.

4. განათლების პრობლემა არაერთ სოციალურ და ეკონომიკურ მიმართულებაზე აისახება. მოსახლეობის განათლების დონე ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია, და ამასთანავე ჰუმანური განვითარების ინდექსის შემადგენელი კომპონენტიც. სწო რედ ამიტომ, ნებისმიერი სახელმწიფო და, პიველრიგში, მაღალ განვითარებული ქვეყნები უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ განალებზე. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა კი სულ სხვა პრობლემის წინაშე დგას : აქ ლაპარაკი არ არის სრულფასოვან და საფუძვლიან განათლებაზე, ძირითადად პრობლემად წერა-კითხვის უცოდინრობა და ელემენტარული დაწყებითი განათლების არ არსებობა რჩება.

საქართველო განვითარებად ქვეყნების კატეგორიას მიეკუთვნება, აქ განათლება არც თუ ისე მაღალ საფეხურზე დგას. ტანის ხეობის სოფლები, განიცდიან საგანმანათლებლო დაწესებულებების ნაკლებობას. სოფელ ბოშურში ფუნქციონირებს სკოლა, რომელშიც სწავლა შესძლებელია მეცხრე კლასის ჩათვლით. სოფელ ატენში კი ფუნქციონირებდა ორი საჯარო სკოლა, თუმცა არასწორი გათვლებით მოხდა ერთი სკოლის მთლიანად გაუქმება და დღეს მხოლოს ერთი ატენის საჯარო სკოლა ფუნქციონირებს, სადაც სწავლა შესაძლებელია თორმეტი კლასის ჩათვლით. მომავალი დამყარებულია განათლების მაღალ დონეზე, ამიტომ საჭიროა ჩვენს ქვეყანას ქონდეს განათლების მაღალი დონე, რასაც ვერ მიაღწევს სასწავლო დაწესებულებების არ არსებობით. საჭიროა მოწესრიგდეს სკოლების და საბავშვო ბაღების პრობლემა, გაიხსნას მუსიკალური ან თუნდაც სამხატვრო სკოლები, იმისათვის რომ მოსახლეობას მიეცეს შსაძლებლობა მიიღოს მინიმალური განათლება მაინც.

3.3 ეკოლოგიური ფაქტორი

ადამიანი და ბუნება განუყოფელია და მჭიდროდაა ურთიერთ დაკავშირებული. ბუნება საზოგადოებისატვის არამარტო ერთადერთი საცხოვრებელი აგრემოა, არამედ არსებობისატვის საჭირო რესურსების ძირითადი წყაროცაა. ნუნებრივი გარემო და ბუნებრივი რესურსები ის აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია კაცობრიობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

საზოგადოების და ბუნების ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა დონით ვლინდება. გეოგრაფიული გარსისა და მისი ელემენტების დეგრადაცია თვალსაჩინოა, როგორც ლოკალურ, ისე რეგიონალურ და გლობალურ დონეზე.

ბუნებრივი გრემოს და მისი შემადგენელი კომპონენტების ნებისმიერი არასასუველი ცვლილება მყისიერად აისახება საზოგადოების ცხოვრების რიტმზე, ადამიანების ჯანმრთელობასა და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე. უფრო მეტიც, ბუნებრივი გარემოს ნებისმიერი – ლოკალური თუ რეგიონული ცვლილება საბოლოო ჯამში გლობალური ხდება.

ეკოლოგიურ ფაქტორებში განიხილება აგრეთვე : ტყის, წყლის და მიწის რესურსებიც, რომლებიც განმსაზღვრელ ფატქორად გვევლინებიან, მოსახლეობის მიგრაციულ პროცესების განვითარებაში. ტაბის ხეობა გამოირჩევა სამივე რესურსის საკმარისი რაოდენობით. ხეობა მთლიანად დაფარულია ტყით, გამოირჩევა სასმელი წყლის სისუფთავით და მიწის რესურსებით. თუმცა დრესდღეობით მისი ტყის ფონდის დიდი ნაწილი გაჩეხილი და განადგურებულია, ამ ქმედებამ კი უკვე გამოიწვია წყალმოვარდნისა და წყალდიდობის პროცესები. გარკვეულ მონაკვეთებზე აღინიშნება ზვავის არეალებიც. სასმელი წყლითმომარაგება, წარმოადგენს ცალკე პრობლემას, ვინაიდან არ არის მოწესრიგებული სასმელი წყლის მილები და მოსახლეობას უხდება წყლის ზიდვა შორი მანძილიდან. მიწის რესურსებს რაც შეეხება, ძირითადად გამოყენებულია სასოფლო-სამეურნეო მეურნეობისათვის.

ტანის ხეობის მაგალითზე, ეკოლოგიურ ფაქტორად გვევლინება ენდოგენური და ეგზოგენური პროცესები. მათგან აღსანიშნავია ისეთი პროცესები როგრებიცაა: ზვავი, წყალდიდობა,მეწყერი და სხვა. ხეობა არ წარმოადგენს სეისმოლოგიურად აქტიურ ზონას.

ხეობაში არ არსებობს საწარმო, არ მოძრაობს ხშირად ტრანსპორტი, ამიტომ აქ სხვა რეგიონებთან შედარებით, ჰაერის დაბალი დაბინძურების დონეა. რაც შეიძლება განხილულ იქნას დადებით ფაქტორად.

ეკოლოგიურ ფაქტრორთანმიმართებაში, შეგვიძლია ვილაპარაკოთ,ისეთ აქტუალურ პროცესზე. რომელიც გულისხმობს ანთროპოგენულ გავლენას მოსახლეობის მიგრაციაზე.

ადამიანი თუ კი ადრე ცდილობდა ბუნებისაგან მეტნაკლებად დამოუკიდებული ყოფილიყო, ანუ მორგებოდა ბუნებას, დღეს პირიქით, ცდილობს ბუნების კანონზომიერებები გამოიყენოს თავის სასარგებლოდ - ბუნება მოარგოს თავის საჭიროებებს. ცხადია ანთროპოგენური ზემოქმედების გაძლიერება გამოიწვია მოსახლეობის რაოდენობის ზრდამაც, სულ უფრო აღმავალმა ტექნიკურმა პროგრესმა და შესაბამისად ბუნებრივი რესურსების ინტენსიურმა არაგეგმაზომიერმა ხარჯვამ. ეკოლოგია ხომ ფაქტიურად განისაზღვრება საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთქმედებით. ბუნება თავისთავად წარმოადგენს უკიდურესად რთულ თვითრეგულირებად სისტემას. იგი მკაცრად ეწინააღმდეგება მისი რეჟიმის ყოველგვარ უმცირეს დარღვევებსაც კი და აღიდგენს წონასწორობას. ჰიდროსფეროს და ატმოსფეროს გააჩნია 10 თვითგაწმენდისა და თვითაღდგენის საოცარი უნარი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გადაჭარბებით შევაფასოთ ბუნების ეს თვისება, მით უმეტეს ბოროტად გამოვიყენოთ იგი. ბუნებასთან ურთიერთობისას ადამიანის ქმედება უნდა იყოს ღრმად გააზრებული და მიმართული ბუნების სიკეთეების გაფრთხილებისა და გამრავლებისაკენ.

საქმეს გარკვეულწილად ართულებს ის გარემოება, რომ ადამიანის ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ბუნებას, ასევე არის ადამიანის კეთილდღეობის აუცილებელი ატრიბუტი და სწორედ ეს მჭიდრო ურთიერთკავშირი გვავალდებულებს განსაკუთრებული აზრი და მომავალზე გათვლილი ქმედებები დავუდოთ საფუძვლად ჩვენ საქმიანობას.

ანთროპოგენულ ფაქტორში მოიაზრება, ისეთი მნიშვნელოვანი ქმედებები როგრებიცაა: წყლის, მიწისა და ჰაერის დაბინძურება. ცალკე არასნიშნია ტყის გაჩეხვის ქმედება, რომელიც იწვევს არაერთ, ბუნებრივ კატასტროფას.

ტანის ხეობაში არსებული სოფლები მაღალი დონით განიცდინა, წყლის დაბინძურებას, ნაკლებადაღინიშნება ჰაერისა და მიწის რესურსების დაბინძურება, რაც განპირობებული არსებული რელიეფის ფორმით, ვინაიდან აქ არ არის დიდი ნაკვეთები, რომელზედაც გამოყენებული იქნება სასუქები და შხამქიმიკატები. ბოლო პერიოდში, ძალზე მარალია ტყის გაჩეხვის ფაქტები, რამაც შეიძლება სავალალო მდგომარეობა გამოიწვიოს და აზარალოს მოსახლეობა.

ამ ყველაფრიდან გამმომდინარე ნათელია, რომ ადამიანის გავლენა ბუნებაზე საგრძნობლად დიდია, მისი მოქმედება დღითიდღე იზრდება და იწვევს უარყოფით შედეგს, შესაბამისად, საჭიროა შევამციროთ ბუნებაზე ანთროპოგენული გავლენა და მეტად დავაფასოთ არსებული გარემო.

IV. მიგრაციის მიზეზების სოციალური და გეოგრაფიული თავისებუებანი

4.1 სოციალური კითხვარი

სოციალური კვლევებიც ადამიანური სამყაროს, ფაქტებისა და მოვლენების შესახებ კონკრეტული ჯგუფების დამოკიდებულებების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას ემსახურება და არა ფაქტების შეგროვებას. ადამიანთა აღქმების, რწმენა-წარმოდგენების დაფიქსირება გვაძლევს საშუალებას, გამოვარკვიოთ აქ და ახლა რატომ ფიქრობენ ადამიანები ამგვარად, რამ იქონია გავლენა მათი შეხედულებების ფორმირებაზე და რაც მთავარია, აქვთ თუ არა, და რა საფუძველი აქვთ ამგვარ შეხედულებებს.

სოციალური კვლევა არ არის ფაქტობრივი მონაცემების ერთობა. ის თვისებრივი მეთოდის მეშვეობით სწავლობს საზოგადოებების, ჯგუფების რწმენა-წარმოდგენებს, შეხედულებებს და აღქმებს სოციალური სამყაროს შესახებ, ან გადაამოწმებს უკვე არსებულს. კვლევის რაოდენობრივი მეთოდოლოგია კი საშუალებას იძლევა, ეს შეხედულებები თუ რწმენა-წარმოდგენები ციფრებით გამოისახოს. ამგვარი მიდგომა კი სოციალურ მეცნიერებაში სტატისტიკურ ილუზიას ქმნის.

სოციალური კვლევა ფართოდ გამოიყენება მთელ რიგ სოციალურ მეცნიერებებში, როგორიცაა სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, პოლიტიკური მეცნიერება, ბიზნესის ადმინისტრაცია და ა.შ. აკადემიური სამყაროს მიღმა, თითქმის ყველას სმენია მოსახლეობის აღწერის, მარკეტინგული კვლევის, წინასაარჩევნო პროგნოზისა და სხვა მსგავსი კვლევების შესახებ. უნდა ითქვას, რომ სოციალური კვლევები გარკვეულწილად გავლენას ახდენს მთელ საზოგადოებაზე: პოლიტიკოსები აწარმოებენ წინასაარჩევნო კამპანიას ამომრჩეველთა სიმპათიების შესწავლის საფუძველზე, კომპანიები აწარმოებენ პროდუქციას მარკეტინგული კვლევების შედეგების გათვალისწინებით და ა.შ.

სოციალური კვლევის მეთოდები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებად. მოცემული ნაშრომი სოციალური კვლევის რაოდენობრივი მეთოდების

შესავალია. სოციალური კვლევის მიზანია აღწეროს, რა ხდება საზოგადოებაში და ახსნას, რატომ ხდება ასე.

აღწერითი კვლევის მიზანია აღწეროს გარკვეული ტენდენციები და განწყობები. მოსახლეობის გამოკითხვა იმის გამოსავლენად, თუ რომელ კანდიდატს უჭერენ მხარს არჩევნებში, რომელი კომპანიის პროდუქციას ანიჭებენ უპირატესობას და სხვ. აღწერითი კვლევის ნიმუშებია. თუმცა მკვლევრის საბოლოო მიზანია არა უბრალოდ აღწეროს სოციალური მოვლენები, არამედ ახსნას კიდეც მათი მიზეზები. ასეთ კვლევას ანალიტიკური ჰქვია.

იმისათვის რომ ნათლად გამოიკვეთოს ის პრობლემები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსახლეობის მიგრაციას (ტანის ხეობის მაგალითზე) საინტერესოა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის აზრის გაგება და გათვალისწინება.

კითხვარი

1.სქესი: ა)მამრობითი ბ)მდედრობითი

2. ასაკი: ა) 25 წლამდე ბ) 25-45 გ)45-65 დ) 65 წლის და უფროსი

3.განათლება:

ა)საშუალო ბ) პროფესიული გ) სტუდენტი დ) უმაღლესი

4. ოჯახური მდგომარეობა:

ა)დაუქორწინებელი ბ) დაქორწინებული გ) ქვრივი დ) განქორწინებული

6.როგორ ფიქრობთ, განიცდის თუ არა თქვენი სოფელი მოსახლეობის მიგრაციას?

არა კი

7.რა განაპირობებს მოსახლეობის მიგრაციას?

8.რომელ წლებში შეინიშნებოდა მიგრაციის მაღალი მაჩვენებლები?

9.გსმენიათ რაიმე მთის კანონის შესახებ?

არა კი

10. გაამართლა თუ არა მთის კანონის შემუშავებამ თქვენი სოფლის მაგალითზე?

არა კი

11.განსხვავდება თუ არა ეთნიკური წარმომავლობით თქვენს სოფელში მცხოვრები ხალხი ერთმანეთისაგან?

არა კი

12.თქვენი აზრით, ახდენს თუ არა გავლენას აქ არსებული რელიეფი მოსახლეობის მიგრაციაზე?

არა კი

13.არის თუ არა მოწესრიგებული თქვენს სოფელში სამედიცინო მომსახურების სფერო?

არა კი

14. როგორ ფიქრობთ, პატრიოტიზმი შეიძლება ჩაითვალოს ისეთ ფაქტორად, რომელიც ხელს შეუშლის მთიდან მოსახლეობის დეპოპულაციას (მოსახლეობის კლებას)?

არა კი

15. ართულებს თუ არა კლიმატური პირობები აქ ცხოვრების შესაძლებლობას?

არა კი

16. ნაყოფიერია თუ არა აქ არსებული ნიადაგი?

არა კი

17. ხშირია თუ არა სტიქიური პროცესები?

არა კი

18.თქვენი აზრით, რა ფაქტორებმა შეიძლება შეუწყონ ხელი თქვენს სოფელში მოსახლეობის დეპოპულაციის პროცესს? (მინიმუმ სამი ფაქტორი)

1. 2. 3.

19. მეურნეობის რომელი ფორმებია უფრო მეტად გავრცელებული?

20.რამდენად არის მოწესრიგებული თქვენს სოფელში ინფრასტრუქტურა?

21.რა მიზეზების გამო არ დატოვებდით თქვენს საცხოვრებელ სახლს? (მინიმუმ ორი მიზეზი)

1. 2.

22.როგორ ფიქრობთ, რატომ შეიძლება მოუნდეს მოსახლეობას ბარიდან მთაში დაბრუნება?

23. თქვენი აზრით, რა ფაქტორებმა შეიძლება შეაჩეროს მთის მოსახლეობის დეპოპულაციისა და გაუდაბურების პროცესი?

24. რა წარმოადგენს თქვენი შემოსავლის წყაროს?

25.რამდენად იგრძნობა სახელმწიფოს დახმარება?

26.რითი ხართ დასაქმებული ზამთრის თვეებში?

27.იგრძნობა თუ არა კლიმატის ცვლილება?

28.როგორია ახალგაზრდობის განწყობა სასიცოცხლო და საცხოვრებელი გარემოს მიმართ?

29.რამდენად გყოფნით ადგილობრივი რესურსები (შეშა, წყლები, მცენარეები და სხვ.) თქვენი

მოთხოვნების დაკმაყოფილებაში?

30.რა გავლენა აქვს ტურიზმს თქვენს შემოსავლებზე?

31.მეურნეობის რომელი დარგის განვითარებას ისურვებდით და რატომ?

4.2 ტანის ხეობის მოსახლეობის პრობლემატიკა და სოციალური კითხვარის ანალიზი

ზემოთ მოცემული კითხვარის ფარგლებში გამოკითხულ იქნა ტანის ხეობის 49 მცხოვრები. გამოკითხულთა შორის 31 ადამიანი მდედრობითი და 18 ადამიანი მამრობითი სქესის წარმომადგენელია. გამოკითხულ იქნა სხვადასხვა ასაკის მქონე ადამიანები: 25 წლამდე , 25-45წ , 45-65 წ და 65 წლის და მეტი (ნახ.9). გამოკითხულთა შორის ჭარბობს 45-65 ასაკობრივ ჯგუფში შემავალი მოსახლეობა, ამ ფაქტზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხეობაში შეინიშნება ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის სიმცირე, რაც მიგრაციული პროცესებით არის განპირობებული.



ნახ.9 გამოკითხულთა ასაკობრივი სტრუქრურა (%)

სოციალურმა კვლევამ აჩვენა რომ გამოკითხულთა უმრავლესობა არის საშუალო განათლების მქონე. მცირე რიცხოვანი იყო ასევე ტექნიკური განათლების მქონე ადამიანთა ხვედრითი წილი. ასაკოვანი ადამიანების უმრავლესობას არ აქვს მიღებული სრული ზოგადი განათლება და ამასთანავე მოსახლეობის მცირე ნაწილს აქვს უმაღლესი განათლება (ნახ.10). გამოკითხულთაგან 11 ადამიანი იყო სტუდენტი, რომლებიც ცხოვრეობენ ატენის თემში, რაც აიხსნება იმით რომ სოფელი ატენი უფრო განვითარებულია სოფ. ბოშურთან შედარებით, ამასთანავე ის მეტად ახლოს არის ქალაქთან და უფრო მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი და სხვა. ახალგაზრდების ასეთი დაბალი ხვედრითი წილი გამოწვეულია იმით რომ სოფლები თითქმის მთლიანად დაცლილია მოსახლეობისგან.



ნახ.10 გამოკითხულთა განათლება (%)

გამოკითხვამ აჩვენა რომ მოსახლეობის საკამოდ დიდი ნაწილი ქვრივია, ეს ძირითადად წარმოადგენს იმ ადამიანთა კატეგორიას, რომლემაც უარი თქვეს საკუთარი სახლის დატოვებაზე და ჯერაც მუდმივ მაცხოვებლად რჩებიან, მიუხედავად რთული ბუნებრივი და

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა. მაღალია დაქორწინებული ადამიანთა რაოდენობა, რომელთა უმრავლესობას 45-65 წლის ადამიანები წარმოადგენენ, რაც შეეხება დაუქორწინებელთა ასეთ მაღალ მაჩვენებლს, ეს შედეგი განპირობებულია 25-45 წლამდე ადამიანთა გამოკითხვის შედეგად, მათ რიცხვს ძირითადად განეკუთვნება ახალგაზრდა ადამიანთა ჯგუფი (ნახ.11). განქორწინებულ ადამიანთა ხვედრითი წილი კი ძირითადად 25 წლამდე ასაკის ადამიანთა გამოკითხვის შედეგად აღინიშნა.



ნახ.11 ოჯახური მდგომარეობა (%)

გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ მათი საცხოვრებელი ადგილი ხასიათდება მიგრაციის მაღალი დონით, ამ ფაქტორის განმაპირობებელ მიზეზებად კი ასახელებენ: მოუწესრიგებელ ინფრასტრუქტურას, ელექტროენერგიის გაუმართაობას, ტრანსპორტის იშვიათობას, მაღაზიებისა და აფთიაქების არ არსებობას, დაბალ ფინანსურ შემოსავალს და სხვა. საინტერესო იყო მთის კანონის შესახებ გააზრებული ცოდნის განსაზღვრა. გამოკითხვამ აჩვენა რომ მოსახლეობის უმრავლესობას არ ქონდა კარგად გაანალიზებული, მთის კანონის არსი და მნიშვნელობა, ხოლო ისინი ვინც გარკვეულ ინფორმაციას ფლობდნენ ამ უკანასკნელზე, შეკითხვაზე „გაამართლა თუ არა მთის კანონის შემუშავებამ თქვენი სოფლის მაგალითზე“ 91% -მა უარყოფითად უპასუხა, რაც საკმაოდ ცუდი შედეგია (ნახ.12).



ნახ.12 გაამართლა თუ არა მთის კანონმა (%)

როგორც გამოკითხვამ აჩვენა, არსებული დასახლებული პუნქტები არ გამოირჩევიან ეთნიკური მრავალფეროვნებით, მეტიც ტანის ხეობაში მრავლად არის უძველესი ქრისტიანული ისტორიული ძეგლები. ერთის მხრივ ეს ფაქტორი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ერთ-ერთი მიგრაციის შემაკავებელ ფაქტორად მთიდან ბარში.

ტანის ხეობა ზღვის დონიდან დაახლოებით 900 მეტრზე მდებარეობს, მიუხედავად მისი არც ისე დიდი სიმაღლისა, იგი ხასიათდება მაღალმთიანი რელიეფის ფორმებით, რაც ართულებს ხეობაში არსებული სოფლების, როგორც ეკონომიკურ ასევე სოციალურ განვითარებას. მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილება კლიმატური პირობები და სტიქიური მოვლენები. ტანის ხეობის სოფლებში საკმაოდ ცივი და თოვლიანი ზამთარი იცის, ხშირია ზამთარში გზების ჩაკეტვა, წყდება მოძრაობა და მოსახლეობის ნაწილი რჩება კომუნიკაციის გარეშე. შესაბამისად აუცილებელია ამ პერიოდში სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურის ორგანიზებულად მუშაობა.

გაზაფხულის პერიოდში მდინარე ტანა ხასიათდება წყლის დონის მატებით, რასაც თან ახლავს მდინარის პირას არსებული ნაკვეთებისა და საცხოვრებლების დატბორვა. როგორც გამოკთხვამ აჩვენა,აქ არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწები სიმცირის მიუხედავად, გამოირჩევიან მაღალი ნაყოფიერებით, რაც შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ერთ-ერთი

შემაკავებელ ფაქტორად მიგრაციის წინააღმდეგ.

კითხვაზე „თქვენი აზრით, რა ფაქტორებმა შეიძლება შეუწყონ ხელი თქვენს სოფელში მოსახლეობის დეპოპულაციის პროცესს? „ შემდეგნაირად გამოიყურება:



ნახ.13 დეპოპულაციის ხელის შემწყობი ფაქტორების (%)

აქ არსებული ადგილობლივი რესურსები (შეშა, წყალი, მცენარეები და სხვა) საკმარისი იყო მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, თუმცა ბოლო წლებში განვითარებულმა ისეთმა ქმედებებმა, როგორიც არის ტყის მასიური ჭრა, წყლის დაბინძურება და სხვა, შეამცირა მარაგი და საფრთხე შეუქმნა მოსახლეობის ჭანსაღ ცხოვრების სტილს (ნახ.13).

ბოლო წლებში განსაკუთრებით აღნინიშნება ტურისტების დიდი ნაკადი ტანის ხეობაში, რაც განპირობებულია მისი ასეთი კარგი გეოგრაფიული მდებარეობით, ლამაზი ბუნებით, კლიმატური პირობებით, წყლის რესურსებით, კულტურული მემკვიდრეობით, საინტერესო ხედებით და ადგილებით.

ამ ყველაფრიდან გამომდიანრე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტურიზმის სფეროს განვითარება მოუტანს ტანის ხეობაში მცხოვრებხალხს დამატებით შემოსავალს, გარდა ამისა

მოწესრიგდება ინფრასტრუქტურის პრობლემებიც და მეტად იქნება გაანალიზებული ამ ხეობის ყველა ის პრობლემა რაც ხელს უწყობს მოსახლეობის მთიდან ბარში წასვლას.

4.3 ტანის ხეობის მიგრაციის მიზეზების გეოგრაფიული ანალიზი

მნიშვნელოვანია მოხდეს ტანის ხეობის მოსახლეობის გამოკითხვისა და შესწავლის შედეგების მიხედვით, დაფიქსირებული მიგრაციული ნაკადის (მთიდან-ბარში) გამომწვევი მიზეზების გეოგრაფიული ანალიზი. ეს უკანასკნელი გულისხმობს, იმ გარემო ფაქტორების ერთობლიობას, რომელებიც განაპირობებენ ტანის ხეობის მოსახლეობის დაცლას. შედეგების მიხედვით შესაძლებელია მოხდეს, იმ გარემო ფაქტროების კლასიპიკაცია, რომლის გამოც რთულდება ამ ადგილში მოსაახლეობის მუდმივ საცხოვრებლად გაჩერება.

გარემო ფაქტორების კლასიფიკაცია კი ასე გამოიყურება :

1. ინფრასტრუქტურის არ არსებობა
2. კომუნიკაციისა და ელექტროენერგიის არ არსებობა
3. ჯანდაცვის სფეროს არ არსებობა
4. უმუშევრობა
5. საგანმანათლებლო ცენტრების არ არსებობა

ამ ყველაფრის გამომწვევ მიზეზად კი შეიძლება დასახელდეს, როგორც ხეობის რთული გეოგრაფიული მდებარეობა, რაც გამოიხატება რთულად მისადგომ ადგილების სიხშირით, ციცაბო კლდეებით, ვიწრო ხეობით და სხვა ასევე სახელმწიფოს არასწორი დამოკიდებულება, მაღალმთიანი რეგიონების და მათ შორის ტანის ხეობის მიმართ, არასწორ დამოკიდებულებაში კი იგულისხმება ის ფაქტორი, რომ არ ხდება ხეობის ტურისტურ-რეკრეაციული პოტენციალის სწორად შეფასება და განსაზღვრა, მოსახლეობის მიგრაციული ნაკადის შეჩერება მეტი შეღავათებით, აქ არსებული რეკრეაციული ზონის გამოყენება მოსახლეობისავე კეთილდრეობისათვის და სხვა.

გარდა ამისა მოსახლეობის ბოლო აღწერამ აჩვენა, რომ ხეობის რამოდენიმე დასახლებული პუნქტი მთლიანად დაცლილია. კვლევების შედეგად, აღმოჩნდა, რომ ხეობაში ზღვის

დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე სოფლები განიცდიან ყველაზე მეტად მოსახლეობისაგან დაცლას, მას მოჰყვება ის დასახლებული პუნქტები, რომლებიც ზღვის დონიდან საშუალო სიმაღლეზე მდებარეობენ და შესაბამისადაც ხასიათდებიან მოსახლეობის საშუალო რაოდენობით, ხოლო ის დასახლებული პუნქტები, რომლებიც შედარებით ზღვის დონიდან დაბლა მდებარეობენ, გამოირჩევიან, როგორც მოსახლეობის დიდი რაოდენობით, ასევე მიგრაციული პროცესების ნაკლები ინტენსივობით. შესაბამისად შეგვიძლია გამოვყოთ მაღალმთიანი, საშუალო და დაბალმთიან დასახლებული პუნქტები ტანის ხეობის ფონზე და ვილაპარაკოთ მათ შორის მოსახლეობის რაოდენობის მხრივ, არსებულ ვითარებაზე.

შესაბამისად ტანის ხეობაში გამოიყოფა:

1. მაღალმთიანი დასახლებული პუნქტები (დრე, ზემო ქსოვრისი, იკვნევი, ღვედრეთი, ფეტვიხევი და სხვა)
2. საშუალომთიანი დასახლებული პუნქტი (ბიისი, ტუსრები, ფუხაანთუბანი, ოლოზო და სხვა)
3. დაბალმთიანი დასახლებული პუნქტი (პატარა ატენი, დეგეულა, დიდატენი, ქვემო ბოშური,ბობნევი და სხვა)

პირველი მათგანი ხასიათდება ნაკლები მოსახლეობა, მეორე - საშუალო და მესამე - მაღალი მოსახლეობითა და დაბალი მიგრაციული პროცესებით.

ჩემს მიერ შედგენილ რუკაზე (ნახ.14), ნაჩვენებია ტანისა და ბოშურის თემში შემავალი სამ-სამი სოფელი, თვისი მდებარეობით ზღვის დონიდან. თუ დავაკვირდებით მათ სიმაღლებრივ გავრცელებას, ვნახავთ, რომ სწორედ ის ორი სოფელი (დრე, ფეტვიხევი) ხვდება იმ სიაში, რომლებიც დაცლილია მთლიანად მოსახლეობისაგან, შესაბამისად ისინი განეკუთვებიან მაღალმთიან დასახლებულ პუნქტს, რაც შეეხება სოფელ ყველაანთუბანს და ღვარებს, ისინი საშუალო მთიან დასახლებულ პუნქტში შედიან და ხასიათდებიან მოსახლეობის საშუალო რაოდენობით. პატარ ატენი და ბობნევი კი - მდებარობენ ზღვის დონიდან დაბლა და განეკუთვნებიან დაბალმთიან დასახლებულ პუნქტს.



ნახ.14 დასახლებული პუნქტები მდიანრე ტანას წყალშემკრებ აუზში (შედეგენილია ჩემს მიერ ტანის ხეობაში არსებული სოფლების მიხედვით)

ამ ყველაფრიდან გამოდინარე, ნათელია თუ როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის, გეოგრაფიულ მდებარობას, ხშირად სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს სოფლების განვითარებას, მიგრაციულ პროცესებს, მნიშვნელობასა და ღირებულებას.

აღსანიშნავია, რომ ტანის ხეობაში არსებული ოროგრაფიული ერთეულები ხასიათდებიან საკუთარი სპეციფიკით, რომელთა შორის, როგორც უკვე ვნახეთ, მნიშვნელოვანია ადგილის სიმაღლე, ვინაიდან სწორედ ეს უკანასკნელი განაპირობებს მნიშვნელოვან ცვლილებებს მიგრაციულ პროცესებთან მიმართებაში.

საჭიროა მოხდეს, ტანის ხეობის მიგრაციის მიზეზების გეოგრაფიული ანალიზი, ვინაიდან ეს უკანსაკნელი მნიშვნელოვანია ხეობის პოტენციალის სწორად შეფასებისა და განვითარებისათვის.

დასკვნა

როგორც უკვე ავღნიშნეთ, მთიან ტერიტორიებთან დაკავშირებული პრობლემები, დღეს მეტად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მთიანი ტერიტორიების სწორედ გამოყენებასა და დაგეგმარებას.

სამაგისტრო თემაზე მუშაობისას, გამოიკვეთა საქართველოს მთიანეთის და მათ შორის ტანის ხეობის არაერთი პრობლემა, რომელიც აისახება ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ მძიმე ვითარებაში. მთიან რეგიონებში, მიუხედავად მათი მაღალი პოტენციალისა, მეტად დაბალია განათლების სისტემა, სამედიცინო მომსახურება, კომუნიკაციის წყაროს არ არსებობა, ტურიზმის განვითარების დონე და სხვა.

მთიან რეგიონებში, მძიმე ვითარება მოსახლეობის მიგრაციის მხრივ. აღნიშნულმა პროცესმა, განაპირობა დაცარიელებული სოფლების რაოდენობის ზრდა. გამოკითხვის პროცესში გამოიკვეთა სხვა არაერთი პრობლემაც, რომლის მოგვარებაც მთავრობის მიერ სწორ დემოგრაპიულ პოლიტიკის გატარების შემდგომ არის შესაძლებელი.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას განხორციეებული კვლევების შედეგები შემდეგია:

1. შეფასდა მთიანი რეგიონები და გამოიკვეთა, რომ მაღალია კრიტიკულია, აქ განვითარებული მიგრაციული პროცესები.

2. კვლევამ აჩვენა, რომ საჭიროა მოხდეს დემოგრაფიული პროცესების სწორად მართვა და მიგრაციული პროცესების შეჩერებისთვის უნდა გატარდეს ისეთი ღონისძიებები, როგორებიცაა : ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ფინანსური შეღავათების ზრდა და სხვა.

3. ნაშრომში გამოვლინა ტანის ხეობის ფიზიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიური მდგომარეობა, საგანგაშოა და მოითხოვს ამ მხრივ ყურადღებას

4. სოციოლოგიური გამოკითხვის და ანალიზის გზით ტანის ხეობის ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევამ, აჩვენა, რომ აქტიურად მიმდინარეობს

მიგრაციული პროცესები.

გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა

ნოდარ ელიზბარაშვილი, ჰეინო მეესენი, აშოტ ხოეციანი, გიორგი მელაძე, თომას კოლერი - **„მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება და რესურსების მართვა“** - თბილისი 2018.

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი -**„მიგრაციის სახელმძღვანელო“** - თბილისი 2017.

გიორგი წულაძე, ავთანდილ სულაბერიძე -ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი - **„დემოგრაფიის საფუძვლები“** - თბილისი 2015.

გიორგი მელაძე - გამომცემლობა „უნივერსალი“ - **„საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები“** - თბილისი 2007.

სერგი მაკალათია - **„ატენის ხეობა“** - თბილისი 1957წ.

ნ. ელიზბარასვილი, დ. ნიკოლაიშვილი, ლ. მაჭარავიანი, გ.სოფაძე, გ. მელაძე, ჯ. ძაძუა, ნ.ჯამასპაშვილი, მ.რატიანი, მ.ხავთასი, ნ.პატარიძე - **„საქართველოს გეოგრაფია“ -** თბილისი 2000.

თამარ ალექსიძე, ნინო რუხაძე - **„საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია“** - თბილისი 2010.

(matsne.gov.ge) -**მაღალმთიანი სოფლების სრული სია.**

ნოდარ ელიზბარასვილი - **„გამოყენებითი გეოგრაფიის საფუძვლები“** - გამომცებლობა „უნივერსალი“ – 2016წ.

როლანდ თოფჩიშვილი - გამომცემლობა „მეცნიერება“ - **„აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს“** - თბილისი 1984 .

(matsne.gov.ge) - **„საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების შესახებ“.**

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია - **„საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია“ -** 2015წ.

„საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნების დინამიკის შიდარეგიონული თავისებურებები“ - მერაბ ფუტკარაძე.

ვასილ მეტრეველი - სტატია - **„პრობლემები და პერსპექტივები საქართველოს მთიანეთში“** თბილისი 2010წ.

http://migration.commission.ge/index.php?article_id=313&clang=0

http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/3/24

https://bioone.org

https://www.mtisambebi.ge